პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— რუსმა თეთრ-გვარდიელებმა [illegible] ოპერაში სკანდალი მოაწყვეს.

— გერმანიის რკინისგზელთა გაფიცვა თანდათანობით ფართოვდება.

— ერრიომ მიიღო საბჭოთა ელჩი კრასინი.

— ოსმალეთში აჯანყებულებმა მარცხდებიან.

— ოსმალეთის მთავრობამ [illegible] თეთრგვარდიელთა ორგანო „საღამოს პრესა".

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს [illegible]-განყოფილების ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათი, 14 მარტი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 59 (1214)

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო საოპერო თეატრში, სრულ 12 საათზე შესდგება

თბილისის სამაზრო-საქალაქო საბჭოთა ყრილობა

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.
2. თბილისის აღმასკომის ანგარიში.
3. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის ფორმის შესახებ.
4. ტერიტორიალურ ჯარების შედგენის შესახებ.
5. მიმდინარე საკითხები.

თბილისის მე-5-თე საბჭოს წევრების და მაზრის დელეგატების შესვლა დროებითი მანდატებით, მთავარ შესავლიდან.

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ნ. 942 3—2 **თბილისის სამაზრო-საქალაქო საარჩევნო კომისია.**

კვირას, 15 მარტს, ამხ. ვლ. ი. ლენინის სახელობის საოპერო თეატრში, სრულ 10 საათზე შესდგება

თბილისის სამაზრო-საქალაქო საბჭოთა ყრილობის კომფრაქციის სხდომა

თბილისის მე-5-თე მოწვევის საბჭოს პარტიის წევრ. დეპუტატების და მაზრის დელეგატების დასწრება სავალდებულოა

შესვლა დროებითი მანდატებით და პარტ-ბილეთებით.

ნ. 943. 3—2 **ფრაქციის ბიურო.**

საბჭოთა კანონიერების შესახებ სოფლად

რომ საბჭოთა კანონიერების განმტკიცება სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მორიგი და ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია დღეს, ამაზე ჩვენ არა ერთხელ გვილაპარაკნია. ჩვენ კვლავ ვეხებით ამ საკითხს, რადგან ამ მხრივ პროვინციაში ყველაფერი რიგზე არ არის.

ჩვენს სოფლებში ამხ. კალინინის მოგზაურობის დროს გლეხები მოითხოვდენ, რომ ადგილობრივ ყველაფერი ისე სრულდებოდეს, როგორც ცენტრში ადგენენ. ცხადია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და წარმომადგენლები არა ყველგან დგანან თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ბევრგან აქვს ადგილი უკანონობას და თვითნებობას.

ჩვენი გაზეთის კვირის №-ში გორის თემიდან მოთავსებული იყო წერილი, რომლიდანაც სჩანს, რომ ხსენებულ თემში შემავალ ზოგიერთ სოფლის საბჭოს წევრებს, აგრეთვე უჯრედის წევრებს ჩაუდენიათ მთელი რიგი ბოროტმოქმედება. ისინი სისტემატიურად აჯარიმებდენ გლეხებს, აპატიმრებდენ, ითვისებდენ სამართლის ფუნქციებს, ფლანგავდენ ხალხის ქონებას და სხ.

მათ გლეხობა ჰყავდათ იმდენად დაშინებული, რომ ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ, რომელნიც ასე აწუხებდენ ხალხს, აბუჩად იგდებდენ მის უფლება-ინტერესებს, სახელს უტეხდენ მუშურ-გლეხურ მთავრობას.

ბოლოს როგორც იყო, ისინი მოხვდენ საბრალმდებლო სკამზე და შესაფერ „ჯილდოსაც" მიიღებენ თავისი „მოღვაწეობისათვის".

კავთისხევის თემშიც იქნა გამოაშკარავებული ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკის უკანონო მოქმედება: უფლების გადამეტება, მოქალაქეთა უკანონოდ შეპყრობა და სხ. აგრეთვე გამოირკვა, რომ ამ თემში სოფლის რწმუნებულები თავის საქმის მწარმოებლის და მილიციონერის ჯამაგირის დასაკმაყოფილებლად კრეფდენ გლეხობისაგან თითო ორ-ორ ჩანახ ხორბალს.

დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემული (იხ. „კომუნისტი" № 56, კორესპონდენცია: „პროკურატურის მუშაობა სოფლად").

ეჭვი არ არის, რომ მსგავს მოვლენებს სხვაგანაც ექნება ადგილი.

ჩვენ რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ სოფლად ყოველგვარ უკანონობის, თვითნებობის, ბოროტმოქმედების ძირფესვიანად აღმოფხვრის საქმეს, ეს ცხადი უნდა იყოს ყველასათვის. მხოლოდ საკითხი ისმის, როგორ და რა გზით შეიძლება საბჭოთა უფლებრივი შეგნების, საბჭოთა კანონიერების განმტკიცება?

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აქ გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს მთელი მშრომელი გლეხობის ფართოდ და აქტიურად ჩაბმას მართვა-გამგეობის ორგანოებში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. უპარტიო გლეხობის თვითმოქმედების გაღვიძება, ფართე გასაქანის მიცემა მისი ნებისყოფისა და თაოსნობისათვის, გლეხობის მიერ ნდობით აღჭურვილ პირების არჩევა სხვადასხვა თანამდებობებზე—საუკეთესო საშუალებაა მშრომელ მოსახლეობის უფლებების დასაცავად და სოფლად ყოველგვარი თვითნებობის მოსასპობად. ამ მხრივ უაღრესი მნიშვნელობა აქვს ამას წინედ ჩატარებულ საბჭოთა არჩევნებს, რომლებმაც მოახდინეს საბჭოების შემადგენლობის გადახალისება და მთელი გლეხობის უფრო მჭიდროთ დაკავშირება მართვა-გამგეობის ორგანოების გარშემო. საჭიროა ამ არჩევნების შედეგების განმტკიცება, რათა ახალი საბჭოები მართლა დაეუფლონ მთელი სოფლის ცხოვრებას, რათა საბჭოს წევრებმა და დანარჩენმა გლეხობამ ცხოველი მონაწილეობა მიიღონ სოფლის საზოგადოებრივობაში.

სოფლად საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტუჯრედს. თუ პარტუჯრედი მთლიანად და თვითეული მისი წევრი დგანან თავის მოწოდების სიმაღლეზე, ეს თავის დადებითი გავლენას ახდენს მთელი სოფლის ცხოვრების გაჯანსაღებაზე, კერძოდ მაშინ, ნაკლები შესაძლებლობა არსებობს სოფლად ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის. პარტორგანიზაცია არის ხელმძღვანელი და მეთვალყურე სასოფლო ორგანოების მუშაობის, თვითეული მუშაკის მოქმედების. მათი შეუფერებელი ქცევისა და მუშაობისათვის პასუხისმგებელია პარტორგანიზაცია. ამიტომ, თუ რომელიმე სოფელში ხდება უკანონობა, თვითნებობა, ეს მოწმობს, რომ პარტორგანიზაციაც არ არის იქ ჯანსაღი და ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. ამიტომ უნდა იქნას გამოკვლეული იმ პარტუჯრედის მდგომარეობაც, რომლის რაიონში რაიმე უმსგავსოებას ჰქონდა ადგილი.

კერძოდ უნდა აღინიშნოს პროკურატურის როლი სოფლად უკანონობასთან ბრძოლის საქმეში.

პროკურატურის წარმომადგენლები ხშირად უნდა დაიარებოდენ სოფლად და ადგილობრივ ისმენდენ გლეხების საჩივრებს. როგორც კავთისხევიდან მიღებულ უკვე დასახელებულ კორესპონდენციიდან სჩანს, იქ პროკურატურის წარმომადგენლის ჩასვლას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია გლეხობაზე და საგრძნობ შედეგებისათვისაც მიუღწევია. გლეხობა ამბობდა: „ეხლა ჩვენ დავრწმუნდით, რომ არც ერთ ბოროტმოქმედს არ დასტოვებს დაუსჯელად საბჭოთა ხელისუფლება, ვინც უნდა იყოს ის და რა საპასუხისმგებლო თანამდებობა არ უნდა ეჭიროს მას"-ო.

მოსახსენებელია ის გარემოებაც, რომ კავთისხევის თემში სოფლის ყრილობებს საჭიროდ უცვნიათ პროკურატურის დამხმარე ჯგუფების დაარსება და კიდეც აურჩევიათ ასეთები. ამ უჯრედებს ევალებათ აცნობონ პროკურატურას ყოველი ცალკე შემთხვევა, როცა დაშვებული იქნება კანონის ფარგლების გადაცილება. ესეც მისაღები და საჭირო ზომაა ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველად.

ამავე მიზნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცენტრიდან ხელმძღვანელ ამხანაგების ხშირ-ხშირად მოგზაურობის პროვინციებში, იქაური მდგომარეობის ადგილობრივ გასაცნობად. მაგ., ამხ. კალინინის და სხვა პასუხისმგებელ ამხანაგების მოგზაურობამ ჩვენი ქვეყნის მაზრებსა და სოფლებში ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა და მას, ეჭვი არ არის, სათანადო შედეგებიც მოჰყვება.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს პრესის განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში. მკითხველი შეამჩნევდა, რომ ჩვენი გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ბოროტმოქმედებათა მხილებას, საბჭოთა აპარატის და სხვა ორგანოების მუშაობის ნაკლულევანებათა გამოაშკარავებას. ჩვენი პროვინციელი კორესპონდენტები შემდეგშიც ფხიზლად უნდა იდგენ საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე და გვაცნობონ ყოველი შემთხვევა ბოროტმოქმედების და თვითნებობის.

ყველა ამ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ შევსძლებთ სოფლის აპარატის გაწმენდას უღირს და მავნე პირებისაგან და გლეხობის უფლებების დაცვას.

სუნ-იატ-სენ

გარდაიცვალა სუნ-იატ-სენი, ჩინეთის რევოლიუციის მამათმთავარი უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე და იშვიათი ადამიანი.

სუნ-იატ-სენის პიროვნების და ჩინეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი როლის შესაფასებლად ჩვენ უნდა გვქონდეს გათვალისწინებული ის პირობები, რომლებშიაც მას უხდებოდა მუშაობა.

ოთხას ორმოცდაათამდე მილიონიანი მოსახლეობა, საყოველთაოდ ცნობილი თავისი კონსერვატიზმით; ჩამორჩენილი მეურნეობა, საწარმოო ძალების განუვითარებლობა; მუშათა კლასის სისუსტე და დაურაზმელობა; ჯერ კიდევ არსებული ფეოდალური ურთიერთობანი; ფაქტიურად სხვადასხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დახლეჩილი ტერიტორია; მუდმივი ურთიერთი ბრძოლა და შეხლა-შემოხლა ცალკე პროვინციების გაბატონებულ ჯგუფებს და პირებს შორის; მსოფლიო იმპერიალისტების განუკითხავი თარეში და გავლენის სფეროებად დაყოფა, ნახევრად კოლონიის მდგომარეობა,—აი, ზოგადი სახით რას წარმოადგენს დღემდე ჩინეთი.

ასეთ პირობებში ჩაატარა სუნ-იატ-სენმა მთელი თავისი 40 წლის სახელოვანი რევოლიუციონური მოღვაწეობა. ჩინეთის ცხოვრების თავისებურობა, იქ არსებული შინაური და საერთაშორისო ძალთა განწყობილება თავის გავლენას ახდენდა სუნ-იატ-სენის პოლიტიკასა და მსოფლმხედველობაზე, ბორკავდა, საზღვარს უდებდა მის რევოლიუციონურ გაქანებას.

მიუხედავად ამისა ის ბოლომდე დარჩა ნამდვილი რევოლიუციონერი. კიდევ მეტი: თავისი სიცოცხლის და ბრძოლის უკანასკნელ პერიოდში ის უფრო მარცხნივ გადაიხარა. ღრმა მოხუცებულობას, ხანგრძლივ ბრძოლას ოდნავ არ შეუნელებია მისი რევოლიუციონური ტემპერამენტი.

თუ ის 1911 წლის რევოლიუციის შემდეგ, როცა იგი ჩინეთის პრეზიდენტად აირჩიეს, რა თქმა უნდა, მთელ რიგ გარემოებათა წყალობით, ერთგვარ კომპრომისზე წავიდა რეაქციონურ ჯგუფებთან და პრეზიდენტობა მათ წარმომადგენელს გადასცა,—თავის სიცოცხლის მიწურულში ის შეურიგებელი იყო და იბრძოდა მშრომელი ხალხის საბოლოო განთავისუფლებისათვის. ახლახან მან უარი განაცხადა მიეღო მონაწილეობა იმ კონფერენციაში, რომელსაც იწვევდენ სხვადასხვა ჯურის გენერლები, მიტომ, რომ ამ კონფერენციაში იყვნენ მოწვეულნი არა ხალხის, არა მშრომელი მოსახლეობის, არამედ გაბატონებული ჯგუფების წარმომადგენლები. ამ კონფერენციას უნდა მოეხდინა ხალხის ნებისყოფის ფალსიფიკაცია და მისი სახელით გადაეწყვიტა ჩინეთის სახელმწიფოებრივობის საკითხები.

თუ წინედ სუნ-იატ-სენი ფიქრობდა ჩინეთის ნაციონალურ განთავისუფლებას უცხოელ სახელმწიფოთა ბატონობისგან მათთან მოლაპარაკების, შეთანხმების მიღწევის, მათ მიმართ დათმობაზე წასვლის პოლიტიკით,—ბოლო ხანებში იგი დარწმუნდა, რომ ამისათვის ერთად ერთი გზაა მედგარი ბრძოლა მსოფლიო იმპერიალიზმთან.

ჩინეთის ხალხის განთავისუფლება უცხოელ იმპერიალისტებისაგან, ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენ, შეადგენდა სუნ-იატ-სენის მოღვაწეობის ერთ ძირითად ამოცანათაგანს.

ამავე დროს სუნ-იატ-სენი არ გაურბოდა ევროპის კულტურას და ცივილიზაციას. თვითონ ევროპიულად უაღრესად განათლებული, იგი სცდილობდა ჩინეთის ცხოვრება გარდაექმნა ევროპიულ ნიადაგზე, დაემყნო თავის სამშობლოში ევროპა-ამერიკის კულტურის დადებითი მიღწევები, მხოლოდ ეს უნდა ყოფილიყო შეფარდებული ჩინეთის პირობებთან, მისი ხალხის თავისებურობასთან.

ევროპიულმა განათლებამ სუნ-იატ-სენი ვერ მოსწყვიტა თავის ხალხს, ის ისევ ჩინელი დარჩა, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, და ესეც იყო მისი უსაზღვრო პოპულიარობის მიზეზი ჩინეთში.

მეტად საგულისხმოა სუნ-იატ-სენის საშინაო პოლიტიკა და პროგრამა. მის მიზანს შეადგენდა ჩინეთის ხალხის ნამდვილი გაერთიანება და მთლიანი სახელმწიფოს შექმნა.

იმ თავითვე, წამოაყენა რა „დემოკრატიის" და თავისებური სოციალიზმის ლოზუნგები, იგი თანდათან უახლოვდებოდა, უმთავრესად რუსეთის რევოლიუციის გავლენით, მშრომელთა ხელისუფლების იდეას, რამდენადაც ამაზე შეიძლება ლაპარაკი ჩინეთის პირობებში.

სუნ-იატ-სენმა თავისი სიკვდილის წინ მოკლედ ჩამოაყალიბა თავისი მისწრაფებანი საბჭოთა კავშირის ცაკისადმი მიმართვაში და პოლიტიკურ ანდერძში, რომელიც დაუტოვა თავის პარტიას—გომინდანს.

ძმური კავშირი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ ხალხებთან და ყველა იმ ხალხებთან, რომელნიც ჩინეთს სთვლიან თავის თანასწორად, კავშირი საერთაშორისო პროლეტარიატთან და რევოლიუციონურ ძალებთან, მშრომელ მასების ამოძრავება რევოლიუციონურ ბრძოლისათვის, ბრძოლა იმ საერთაშორისო რეჟიმთან, რომელიც არის სათავე მონობის, ომების და უსამართლობის და ამ გზით ჩინეთის განთავისუფლება უცხოელების ბატონობისაგან,—აი, რა ანდერძა მან თავის მიმდევრებს. კერძოდ მისი უკანასკნელი ფიქრი მიმართული იყო საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც არის უდიდესი ფაქტორი დამონებულ ხალხთა და მშრომელთა განთავისუფლების. სუნ-იატ-სენმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი დაჩაგრულ აღმოსავლეთის იმედს და ლტოლვას საბჭოთა კავშირის განთავისუფლებულ ხალხებისადმი.

სუნ-იატ-სენმა დასტოვა მის მიერვე შექმნილი პარტია—გომინდანი, რომელმაც უნდა განაგრძოს სიარული თავისი ბელადის გზით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პარტიაში, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, თავი იჩინა უთანხმოებამ, აზრთა სხვადასხვაობამ. გომინდანი არ არის ერთფეროვანი შემადგენლობის. მასში შედის: ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, ინტელიგენცია, გლეხობა, პროლეტარიატი. გენერალ ჩან-ძო-ლინმა ამას წინედ განაცხადა: გომინდანი ძალე ორგანიზაციაა, რომელიც სუნ-იატ-სენის სიკვდილის შემდეგ დაიშლებაო. ეს, რა თქმა უნდა, უსაფუძვლო იმედია. მაგრამ ერთი რამ ცხადია: სუნ-იატ-სენმა ვერ მოასწრო თავის პარტიის მტკიცედ ჩამოყალიბება და იქედან უცხო ელემენტების განდევნა. ასეთი გაწმენდა კი გომინდანს ძალიან ესაჭიროება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი სუნ-იატ-სენის ანდერძის განხორციელება და გადაუხვეველი ბრძოლა მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის.

მეტად დიდი დანაკლისია სუნ-იატ-სენის გარდაცვალება ჩინეთის ხალხისათვის და, შეიძლება ითქვას, მთელი მშრომელი კაცობრიობისათვის. ეს განსაკუთრებით საგრძნობია ეხლა, როცა შორეულ აღმოსავლეთში უფრო და უფრო მაგრად იკვანძება იმპერიალისტების ინტერესთა ხლართი და როცა თვით ჩინეთში განუწყვეტელი სამოქალაქო ომი მძვინვარებს.

მაგრამ ჩინეთის ხალხი, გამოფხიზლებული და ამოძრავებული სუნ-იატ-სენის თავდადებული მუშაობით, ბოლოს და ბოლოს, უეჭველია, მიაღწევს ბელადის მიერ მის წინაშე დასახულ მიზნებს.

მენშევიკების აგიტაცია ამერიკაში

(როგორ შეხვდენ მენშევიკ აბრამოვიჩს ამერიკის მუშები)

ცნობილი მენშევიკი აბრამოვიჩი, სოციალისტური პარტიის მიპატიჟების თანახმად, საგასტროლოთ ჩავიდა ამერიკაში. მას დიდის ზეიმით შეხვდენ ამერიკის ცნობილი სოციალისტური მოღვაწეები ხილკვიტი და კაგონი—ყვითელი სოციალისტური ორგანოს „ფორვერტს"-ის წარმომადგენლები.

სოციალისტურმა პარტიამ აბრამოვიჩისათვის მოაწყო მთელი რიგი მიტინგები. ჯერ კიდევ მის ჩამოსვლამდი სოციალისტური გაზეთები გაიძახოდენ, რომ აი ჩამოვა „ცნობილი რუსი რევოლიუციონერი აბრამოვიჩი", რომელიც მოგვითხრობს მთელ სიმართლეს საბჭოთა რუსეთის შესახებო.

მაგრამ, მუშებმა, რომლებიც დაესწრენ იმ მიტინგებს, სადაც აბრამოვიჩი გამოდიოდა, ნათლად დაანახვეს ყველას, რომ მათ მაინცდამაინც არ სწამთ ის ჭეშმარიტებმა, რომელიც მათ აუწყა აბრამოვიჩმა.

პირველი კრება გაიმართა „ნიუ სტარ კაზინო"-ში. აბრამოვიჩს აქ „მხურვალედ" შეხვდენ. კრების მდივანი ჩანინი აღელვებული გამოვიდა ტრიბუნაზე და პათოსით განაცხადა, რომ „ჩვენი ძვირფასი და საპატიო სტუმარი აბრამოვიჩი ჩვენთან დარჩება ოთხი თვე".

ამის საპასუხოთ **დარბაზიდან გაისმა ხმები: „ეს მეტად დიდი „პატივისცემაა" ჩვენთვის".** ვაინბერგი, მუშათა კლუბის თავმჯდომარე, **„ძვირფას სტუმარს" მიესალმა კლუბის 100.000 წევრის სახელით.** აქაც მოხდა ინციდენტი, რომელიც ვერ ასიამოვნებდა ვერც ვაინბერგს და ვერც „სტუმარს". კლუბის წევრებმა მათი თავმჯდომარის სიტყვის საპასუხოთ დაიწყეს ყვირილი: „არა, არა, ჩვენ არც კი ვფიქრობთ მივესალმოთ მას".

როდესაც კრების თავმჯდომარემ აბრამოვიჩი დამსწრეებს გააცნო, როგორც მეორე ინტერნაციონალის ერთ-ერთი ბელადი, **ხმაურობამ და სტვენამ** დაამტკიცა, რომ მიტინგზე დამსწრე მუშები მაინცდამაინც კმაყოფილი არ იყვნენ ასეთი გაცნობით.

აბრამოვიჩმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გაილაშქრა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ **მთელმა კრებამ აღფრთოვანებული მანიფესტაცია მოაწყო საბჭოთა რუსეთის საპატივცემლოთ.**

დარბაზის ყველა კუთხეებიდან ისმოდა **ინტერნაციონალის ხმები.** ორატორი შესამჩნევათ გაფითრდა და დაიბნა. დაივიწყა რა ყველა თავისი ხარისხები, მან საშინელი გინება დაუწყო რუსეთის კომუნისტებს, რომლებსაც ის ბრალს სდებდა ათასგვარ მომაკვდინებელ ცოდვებში. მსმენელები მას სიტყვას აწყვეტინებდენ შეძახილებით: **„მატყუარა გამყიდველი, თეთრგვარდიელი, კონტრ-რევოლიუციონერი".**

აბრამოვიჩის საპატივცემლო მიტინგის მაგივრათ კრება გადაიქცა ასპარეზათ ბრძოლისა აბრამოვიჩის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის დასაცავათ თავი გამოიდო შეიარაღებულმა პოლიციამ, და სოციალისტური მიტინგი **გადაიქცა მუშების ცემა-ტყეპის ადგილათ.**

იმის შემდეგ, როცა ნაცემი და გასისხლიანებული დემონსტრანტები კრების დარბაზიდან გარეკა პოლიციამ, თავმჯდომარის ადგილი დაიკავა ხილკვიტმა, ვეძილმა და ამერიკის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა. მეორე „სოციალისტი" ჟაკ პანკენი ტრიბუნაზე გამოვიდა პოლიციელების თანხლებით. ამ საპატიო ყარაულის ქვეშ აბრამოვიჩი განაგრძობდა თავის სიტყვას.

ორატორის თვითეულ ფრაზას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ **მსმენელები უპასუხებდენ ინტერნაციონალის სიმღერით** და, ბოლოს და ბოლოს, მათ იწყეს დარბაზის მასიურათ მიტოვება შეძახილებით: **„გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს!"**

მაერსი.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალება

სუნ-იატ-სენი გარდაიცვალა

პეკინი, 12 მარტი. 12 მარტს, დილის 9 საათზე და 30 წუთზე გარდაიცვალა სუნ-იატ-სენი.

მისი სურვილისამებრ ის დასაფლავებული იქნება ნანკინში—ჩინეთის პირველ მთავრობის რეზიდენცია 1912 წელს. მისი გვამი შემურვილი იქნება. განზრახულია მისი ნეშთის შენახვა აკლდამაში ლენინისდაგვარად.

სუნ-იატ-სენი უკანასკნელ წუთებში

პეკინი, 12 მარტი. მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, სუნ-იატ-სენი უკანასკნელად დღემდე მთელ თავის ყურადღებას აქცევდა პარტიის მომავალს და ვრცელ ინსტრუქციებს აძლევდა მას მომავალ მუშაობისათვის. ის ეუბნებოდა თავის მიმდევრებს, რომ **ეროვნული რევოლიუციის წარმატება დამოკიდებულია საერთო რევოლიუციონურ მიღწევებზე და საბჭოთა კავშირთან და მსოფლიო პროლეტარიატთან მეგობრულ ურთიერთობის დაცვაზე.** განსაკუთრებით მოითხოვდა სუნ-იატ-სენი გომინდანის პარტიის ყრილობის სასწრაფოდ მოწვევას.

სიკვდილის წინ სუნ-იატ-სენმა მოიხმო თავისი ოჯახის წევრები და უთხრა მათ: **„მე არაფერს არ ვტოვებ საკუთრებას. ჩემს შემდეგ რომ ერთი ცენტიც დარჩენილიყო, მე ჩემს თავს ჩავსთვლიდი არამზადათ, რომლისათვისაც რევოლიუცია—გასართობია. მე ვტოვებ ჩემს საქმეს, რომელიც წარმოადგენს რევოლიუციის საერთო საკუთრებას".**

საბჭოთა მთავრობის სამძიმარი

მოსკოვი, 13 მარტი. გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა საბჭოთა მთავრობის სახელით დაავალა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს პეკინში—კარახანს გადასცეს გარდაცვალებულ სუნ-იატ-სენის ოჯახს შემდეგი სამძიმარი:

„საბჭოთა კავშირის მთავრობა გულწრფელ თანაგრძობას უცხადებს დიდად პატივცემულ დოქტორ სუნ-იატ-სენის ცოლს და ოჯახს.

საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის ღრმესი სიმპატიით ადევნებდენ თვალყურს ჩინეთის ხალხის გმირულ ბრძოლას, რომელსაც სუნ-იატ-სენი ხელმძღვანელობდა და იციან, თუ როგორი უბედურება დაატყდა ჩინეთის ხალხს მისი დაკარგვით.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ მტკიცეთ გადაიტანთ ამ მწუხარებას რადგან უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს მწუხარებას იზიარებენ მრავალი მილიონი ადამიანი".

სუნ-იატ-სენის მიმართვა საკავშირო ცაკისადმი

პეკინი, 12 მარტი. 11 მარტს სუნ იატ-სენმა იგრძნო რა სიკვდილის მოახლოვება, გამოიძახა გომინდანის პარტიის პოლიტ-ბიუროს წევრები და დაავალა მათ შეედგინა შემდეგი მიმართვა საბჭოთა კავშირის ცაკისადმი; მიმართვაში, რომელსაც მან იმავე დღეს მოაწერა ხელი, ნათქვამია:

„ძვირფასო ამხანაგებო, იმ დროს, როდესაც მე ლოგინში ვწევარ შეპყრობილი სნეულებით, რომლის წინაშე უძლურია ადამიანი, ჩემი აზრი მიპყრობილია თქვენსკენ, ჩემი პარტიის და ჩემი ქვეყნის ბედ-იღბლისაკენ.

თქვენ მეთაურობთ თავისუფალ რესპუბლიკების კავშირს—იმ მემკვიდრეობას, რომელიც დაუტოვა მსოფლიოს ჩაგრულ ხალხებს უკვდავმა ლენინმა. ამ მემკვიდრეობის წყალობით იმპერიალიზმის მონობაში მყოფი ხალხები აუცილებლად განთავისუფლდებიან იმ საერთაშორისო წესწყობილებისაგან, რომლის საფუძვლებს ძველით-ძველთაგან შეადგენს მონობა, ომები და უსამართლობა.

მე ჩემს შემდეგ ვტოვებ პარტიას, რომელიც, როგორც ყოველთვის მქონდა ამის იმედი, დაკავშირებული იქნება თქვენთან ისტორიულ ბრძოლაში ჩინეთის და სხვა ქვეყნების განსათავისუფლებლად ამ იმპერიალისტურ წესწყობილებისაგან. ბედისწერამ საშუალება არ მომცა დამემთავრებია ჩემი საქმე და ამ საქმის შესრულებას ვანდობ იმათ, ვინც დარჩება ერთგული პარტიის მოძღვრებისადმი და ამით გახდება ერთგული ჩემი მიმდევარი.

ამიტომ მე უანდერძე გომინდანს განაგრძოს ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობა იმ მიზნით, რათა იმპერიალისტების მიერ ნახევრად კოლონიად გადაქცეულ ქვეყანას შეეძლოს განთავისუფლება.

ამ მიზნით მე დავავალე პარტიას მუდმივ კონტაქტში იყოს თქვენთან. ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ თქვენ მუდამ, როგორც დღემდის, დაუჭერთ მხარს ჩემს ქვეყანას.

გეთხოვებით რა, ძვირფასო ამხანაგებო, მე მსურს გამოვსთქვა იმედი, რომ ჩქარა დადგება დღე, როდესაც საბჭოთა კავშირი მიესალმება თავისუფალ, ძლიერ ჩინეთს, როგორც მეგობარს და მოკავშირეს და რომ ორივე მოკავშირე ხელიხელ-ჩაკიდებული იბრძოლებენ მსოფლიოს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის.

ძმური სალამით სუნ-იატ-სენი".

სუნ-იატ-სენის პოლიტიკური ანდერძი

პეკინი. 12 მარტი. სუნ-იატ-სენის პოლიტიკურ ანდერძში, რომელიც მან დაუტოვა გომინდანის პარტიას ნათქვამია:



სუნ-იატ-სენი.

„ჩემი 40 წლის სიცოცხლე მე შევსწირე ნაციონალურ რევოლიუციის საქმეს, რომლის მიზანია ჩინეთის თავისუფლების უზრუნველყოფა. 40 წლის გამოცდილებამ დამარწმუნა მე იმაში, რომ იმისათვის, რათა მივაღწიოთ ამ მიზანს, **ჩვენთვის საჭიროა გამოვაღვიძოთ მასები და გავერთიანდეთ ყველა ხალხებთან, რომელნიც თანასწორად გვთვლიან ჩვენ,—ერთად საბრძოლველად.** იმის გამო, რომ **რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ამხანაგებმა უნდა განაგრძონ ბრძოლა იმის განსახორციელებლად.**

პირველ ყოვლისა უნდა იქნას მოწვეული სახალხო კრება და გაუქმებული იქნას არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები. ვავალებ პარტიას მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა ეს მიზნები მიღწეული იქნას სულ ახლო მომავალშიო".

ანდერძი დაწერილია **11 მარტს.**

ჩინეთი გლოვობს

პეკინი. 12 მარტი. როგორც კი გავრცელდა ხმა სუნ-იატ-სენის გარდაცვალების შესახებ, გომინდანის მრავალი წევრნი მოგროვდენ იმ შენობასთან, სადაც დასვენებულია სუნ-იატ-სენის ნეშტი; სუნ-იატ-სენის კუბოს გადაფარებული აქვს პარტიული დროშა. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი კარახანი, რომელიც მიუახლოვდა კუბოს გომინდანის პარტიის გამოჩენილ წევრთა თანხლებით.

დაშვებული იქნა დროშა საბჭოთა კავშირის საელჩოს შენობაზე. ყველა საბჭოთა საკონსულოებს მიეცათ განკარგულება დაუშვან დროშები თავიანთ შენობებზე 3 დღის განმავლობაში.

პეკინის უნივერსიტეტი დაიხურა.

გლოვის ნიშნად

დღის 2 საათზე სუნ-იატ-სენის გვამი გადაასვენეს ჰოსპიტალში შესამურავად. გომინდანის პარტიის აღმასკომმა დაადგინა შეინახოს სუნ-იატ-სენის ნეშტი მიწადმოქმედების ინსტიტუტის შენობაში ან ნებას ტაძარში, რათა საშუალება მიეცეს ხალხს გამოეთხოვოს განსვენებულ ბელადს.

ვინ იყო სუნ-იატ-სენი

სუნ-იატ-სენი—ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი

მოსკოვი. 13 მარტი. ჯერ კიდევ 1918 წელს სუნ-იატ-სენი იდგა შეთანხმებელ პოზიციაზე იმპერიალისტურ სახელმწიფოების მიმართ. მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სუნ-იატ-სენმა გაუგზავნა ამერიკის პრეზიდენტს ვილსონს მისასალმებელი დეპეშა, რომელშიაც ის გამოსთქვამდა სიხარულს „დემოკრატიის გამარჯვების" გამო. სწორედ ასევე საბაჟო კონფლიქტის დროს კანტონში 1923 წელს, სუნ-იატ-სენს არ ჰქონია მტკიცე ხაზი და ყოველთვის ეძებდა შეთანხმებას ინგლისელებთან. სულ უკანასკნელ ხანებამდე სუნ-იატ-სენი ხელმძღვანელობდა ჩინეთის ეროვნულ მოძრაობას.

ამიტომ სუნ-იატ-სენის პოპულიარობა მასებში სწრაფად იზრდებოდა **მხოლოდ მას შემდეგ, როცა გომინდანის ხელმძღვანელი ერთბაშად მარცხნივ გადაიხარა და მთელი თავისი მუშაობა მან შეუფარდა ჩინეთის მშრომელი მასების ინტერესებს.**

სუნ-იატ-სენი გარდაიცვალა, მაგრამ დარჩა ის ფაქტორები, რამაც ეროვნულ-რევოლიუციონური მუშაობა გამოიწვია ჩინეთში, ვინაიდან რამდენადაც მსოფლიო იმპერიალიზმი ნახევრად კოლონიალურ მდგომარეობაში ამყოფებს ჩინეთს, ჩინეთის მშრომელი მასები ყოველთვის ეცდებიან განთავისუფლდენ ამ ნახევრად კოლონიალურ მდგომარეობისაგან.

გომინდანის პარტია

მოსკოვი. 13 მარტი. გომინდანის პარტიას, რომელსაც დღემდის სუნ-იატ-სენი მეთაურობდა, აქვს დაახლოვებით 12 წლის ისტორია. ამ პარტიის დაარსებამდე ჩინეთში მოქმედებდა რამდენიმე დაქსაქსული რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელთა გაერთიანების შემდეგ შეიქმნა გომინდანი. ეს მოხდა შემდეგ პირობებში:

1901 წელს ჩინეთში დაარსდა რევოლიუციონური ორგანიზაცია სუნ-იატ-სენის მეთაურობით ე. წ. „საკავშირო ლიგა", რომლის შემადგენლობაში შედიოდა უმთავრესად საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული რევოლიუციონური მოსწავლე-ახალგაზრდობა.

1911 წელს, როდესაც ჩინეთის მონარქია დაემხო და შესდგა მინისტრთა რევოლიუციონური კაბინეტი, საკავშირო ლიგამ დაიჭირა კაბინეტში 5 ადგილი. იმავე წელს ლიგას გამოეცვალა სახელწოდება ტუნ-მენ-ხუ. უკანასკნელმა შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ხელისუფლების ცენტრალიზაციას, ადგილობრივ თვითმართველობის განვითარებას, ჩინეთის ყველა ხალხთა გაერთიანებას, საყოველთაო სავალდებულო განათლებას, სქესთა თანასწორობას და სხვ. მაგრამ ტუნ-მენ-ხუს პარტიას მოუხდა შეჯახება შემდეგ დაარსებულ 4 სხვა პარტიასთან. რადგან ამ ჯგუფებს ჰქონდათ თითქმის ერთი და იგივე პროგრამა, 1912 წ. ყველა ჯგუფების ლიდერების კონფერენციის შემდეგ მოხდა მათი გაერთიანება და შეიქმნა გომინდანის ერთიანი პარტია.

თავისი პროგრამა გომინდანმა შეიმუშავა 1920 წელს, ხოლო 1924 წ. შეიტანა არსებითი შესწორებანი. 1920 წლის პროგრამის თანახმად გომინდანი სცდილობს ჩინეთში დემოკრატიის, ნაციონალიზმის და სოციალიზმის გატარებას „დემოკრატიზმის" ქვეშ პარტია გულისხმობს თითქმის იმასვე, რასაც გულისხმობდენ ჩვენში მენშევიკები და ესერები. ნაციონალიზმის ქვეშ გომინდანი გულისხმობს ჩინეთის ყველა რასების გაერთიანებას ერთ ჩინეთის ერში. ხუთ ტომიდან: ჩინელები, მანჯურიელები, მონღოლები, მაჰმადიანები და ტიბეტელები. ჩინელები შეადგენენ მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას 400 მილიონზე მეტს, ხოლო დანარჩენები—20 მილიონს. ამიტომ ეს ცალკე ერები უნდა გაერთიანდენ ჩინეთის რესპუბლიკის დროშის ქვეშ ერთ მძლავრ ერში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მსგავსად.

სოციალიზმის ქვეშ გომინდანი გულისხმობს მიწით სარგებლობაში თანასწორობას და კაპიტალის შეზღუდვას.

დღევანდელ მომენტში გომინდანის პროგრამა ცოტაოდნად მოძველებულია, მაგრამ მიუხედავად ამისა, გომინდანი უსათუოდ რევოლიუციონური ფაქტორია ჩინეთში.

ფრიად საინტერესოა სუნ-იატ-სენის კონსტიტუცია, რომელიც მან გამოიმუშავა დასავლეთ ევროპის და ამერიკის მნიშვნელოვან კონსტიტუციების შესწავლის შემდეგ. ამ კონსტიტუციას ეწოდება „ხუთი ძალის კონსტიტუცია"; იგი გულისხმობს ჩინეთის რესპუბლიკის იმგვარად მოწყობას, რომლის დროსაც არსებობს 5 სრულიად დამოუკიდებელი ხელისუფლება: საკანონმდებლო, სამოსამართლო, ადმინისტრატიული, დასჯა-გასწორების და ცოდნათა შემოწმების ხელისუფლება. უკანასკნელში ნაგულისხმევია ერთგვარი ინსტიტუტი სახელმწიფო მოღვაწეთა მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის შესამოწმებლად.

ამჟამად გომინდანი წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს რევოლიუციონურ ორგანიზაციას ჩინეთში.

უკანასკნელი ცნობები

უსაფუძვლო ხმები

ნიუ-იორკი, 12 მარტი. ამერიკაში ჩამოვიდა ბერლინში მყოფი ამერიკის ელჩი ხოუტონი, რომელიც ეხლა დანიშნულია ელჩად ლონდონში. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ხოუტონმა სასაცილოდ აიგდო ხმები იმის შესახებ, თითქოს გერმანია იარაღდებოდეს და აგრეთვე ის „სულელური მითქმა-მოთქმა", თითქოს რაღაც აგრესიული სამხედრო კავშირი არსებობდეს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის.

სამხრეთ-სლავიის მთავრობის პროვოკაცია

ვენა, 12 მარტი. რესპუბლიკის დაცვის კანონის მიხედვით სამხრეთ-სლავიის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს მანდატები რადიჩის პარტიის ათი დეპუტატისა, რომელთაც თითქოს „კავშირი ჰქონდათ მოსკოვთან".

მარქსის კანდიდატურა

ბერლინი, 12 მარტი. ვოლფის სააგენტოს ცნობით ცენტრის პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად დაადგინა გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოაყენოს მარქსის კანდიდატურა

პეკინელ ქალების მიტინგი

პეკინი. 12 მარტი. კვირას შემდგარ ქალთა მიტინგზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „პეკინელ ქალთა მასიურმა მიტინგმა, რომელიც მოწყობილ იქნა მუშა-ქალის საერთაშორისო დღეს, ერთხმად დაადგინა გაუგზავნოს გულითადი სალამი საბჭოთა კავშირში მყოფ თავის დებს და მიულოცოს მათ რევოლიუციონური მიღწევები. პეკინელი ქალები მტკიცედ დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ კომუნისტური იდეები გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში". თავმჯდომარე ლიუ ძინი.

ამგვარივე მიტინგები მოეწყო აგრეთვე ტიან-ცზინსა და შანხაიში.

კომუნისტ-დეპუტატების საქმე

პარიზი. 12 მარტი. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა გადასდოს კომუნისტ დეპუტატების კაშენისა და ვაილიან კუპიურიეს საქმის განხილვა მანამდის, სანამ საკასაციო სასამართლო გამოიტანდეს თავის გადაწყვეტილებას ბრალდებულთა მიერ შეტანილ საკასაციო საჩივრის გამო. კაშენსა და კუპიურიეს მისჯილი აქვთ დაპატიმრება ანტიმილიტარისტულ პროპაგანდის გაწევისათვის.

კრასინი ერრიოსთან

პარიზი. 12 მარტი. საფრანგეთის პრემიერმა ერრიომ 12 მარტს მიიღო კრასინი.

თეთრგვარდიელების „საქმენი საგმირონი"

უდიდესი გამარჯვება... ფაიფურის ვაზაზე

პარიზი, 12 მარტი. ლიონიდან იტყობინებიან: 8 მარტს, დაახლოვებით საღამოს 6 საათზე, ერრიოს წამოსვლის შემდეგ, რუს თეთრგვარდიელების ერთმა ჯგუფმა სკანდალი მოახდინა საბჭოთა კავშირის პავილიონში ლიონის ბაზრობაზე. ერთ-ერთმა ქალმა, რომელიც შედიოდა ამ ჯგუფში, თავისი შეიარაღებული თანამოაზრეების მფარველობით გასტეხა ვაზა ფაიფურის ნაწარმოებთა განყოფილებაში და შეურაცხყოფა მიაყენა განყოფილების ორ მოსამსახურეს.

ბაზრობის კომიტეტმა, რომელსაც დაუყოვნებლივ აცნობეს ამ ინციდენტის შესახებ, თავის გულწრფელი მწუხარება გამოსთქვა ამ ინციდენტის გამო და დაავალა პოლიციას სასწრაფოდ გამოიძიოს ეს საქმე და დააპატიმროს თავდამსხმელები.

იმის გამო, რომ საბჭოთა დელეგაციამ ბაზრობაზე მიიღო მუქარის წერილი რუს კონტრ რევოლიუციონერებისგან, საფრანგეთის პოლიციამ მიიღო ენერგიული ზომები დელეგაციის დასაცავად.

აჯანყება ოსმალეთში

აჯანყებულნი მარცხდებიან.

ანგორა. 12 მარტი. ოფიციოზური ორგანო „ხაკიმიეტ მილიე" იუწყება, რომ მეამბოხეებმა თავი მოუყარეს ჯარებს დიარბექირის რაიონში და იერიში მიიტანეს ქალაქზე. ჯარების რიცხვი უდრიდა 50,000 კაცს. **ბრძოლა გაგრძელდა რამდენიმე საათი და მეამბოხეები იძულებული იყვენ გაქცეულიყვენ. მათი მხრივ მოკლულია 50 კაცი. ტყვეთ წამოყვანილია 50 კაცი.**

9 მარტს, საღამოს, ოსმალეთის ჯარების მთავარი ძალები შევიდენ ოლქში, რომელიც გარშემორტყმული იყო მეამბოხეების მიერ.

დახურეს თეთრგვარდიელების ფურცელი.

ანგორა. 12 მარტი. ოსმალეთის ხელისუფლებამ დახურა რუსეთის თეთრგვარდიელთა ყოველდღიური ორგანო „ვეჩერნია პრესა", რომელიც სტამბოლში გამოდიოდა.

შეიხ-სეიდი ემზადება.

ანგორა. 12 მარტი. „ხაკიმიეტ მილლიეს" ცნობით, მეამბოხეთა მეთაური შეიხ-სეიდი ემზადება დიარბექირზე ხელმეორედ იერიშის მისატანად და ამ მიზნით აგროვებს ძალებს.

გერმანიის ამბები

ებერტის გარდაცვალების შემდეგ.

ბერლინი, 12 მარტი. მაგდებურგში მეორეთ არჩევენ საქმეს გარდაცვალებულ პრეზიდენტ ებერტის შეურაცხყოფის შესახებ. 12 მარტის სხდომაზე წაკითხული იქნა ებერტის განცხადება, რომელშიაც ის დაწვრილებით ამტკიცებს, რომ მან 1918 წელში სამხედრო ქარხნების მუშების გაფიცვის ხელმძღვანელობა იკისრა მხოლოდ იმ მიზნით, რომ ჩაეშალა გაფიცვა და ამით განემტკიცებია სამშობლოს თავდაცვის უნარიანობა.

„გერმანიის საგანგებო კომისიის" პროცესი.

ლეიპციგი, 12 მარტი. 12 მარტის სხდომაზე სასამართლომ ჩვენება ჩამოართვა ნეიმანის ნათესავებს მისი გონებრივი განვითარების შესახებ.

ნეიმანის ძმის დაკითხვიდან გამოირკვა, რომ **ნეიმანის ბაბუა და ბაბუას მამა გარდაიცვალენ საგიჟეთში**, ამასთანავე ბაბუას მამამ საგიჟეთში დაჰყო 40 წელზე მეტი. ნეიმანის მამიდა 20 წელზე მეტია, რაც სულიერ ავადმყოფობით იტანჯება.

ძმის სიტყვებით, ფელიქს ნეიმანს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ეტყობოდა არანორმალობის ნიშნები. სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, ნეიმანი არა ერთხელ იჯდა საგიჟეთში.

გაფიცვა საქსონიაში, სილეზიაში და ბავარიაში

ბერლინი, 12 მარტი. რკინისგზელების გაფიცვა გადავიდა ბავარიაშიც. საქსონიაში, ბერლინში და სილეზიაში გაფიცულია 12.000 რკინისგზელი.

ბრძოლა დაიწყება მთელს გერმანიაში

ბერლინი, 12 მარტი. რკინისგზელების კავშირების წარმომადგენელთა კონფერენციამ, რომელიც 12 მარტს შეიკრიბა, დაადგინა ბრძოლა დაიწყოს მთელს გარმანიაში. ცალკე ოლქებს უფლება მიეცა დამოუკიდებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილებები და ცხოვრებაში გაატარონ ისინი.

რა ხდება საფრანგეთში

ბერტონის და კაშენის პროტესტი.

პარიზი. 12 მარტი. კომუნისტი ბერტონი თავის წერილში პარლამენტის გარეშე საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მიმართ აცხადებს, რომ ის გადის კომისიის შემადგენლობიდან და დასძენს, რომ მას, როგორც კომუნისტური პარტიის წარმომადგენელს, არ შეუძლია დასთანხმდეს წინადადებაზე, რომ საიდუმლოთ შეინახოს ის განცხადებები, რომელთაც ერრიო გააკეთებს კომისიაში.

კაშენიც შეუერთდა ბერტონის პროტესტს ერრიოს მოთხოვნილების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ ის შეიტანს შეკითხვას პალატაში იმის გამო, რომ ერრიო პარლამენტს არაფერს არ უმხელს იმ მნიშვნელოვან დიპლომატიურ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს.

ანარქია საბინაო საკითხში.

პარიზი. 12 მარტი. პალატის სხდომაზე, 11 მარტს, კომპარტიის სახელით გამოვიდა მარშერი, რომელმაც აღნიშნა, რომ არავითარი სალი პოლიტიკა არ ტარდება საბინაო საკითხში. სახლის პატრონები ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, მასიურად ასახლებენ ღარიბ მდგმურებს. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება პროლეტარების დასაცავად სახლის პატრონების თვითნებობისაგან.

დასასრულ მარშერომ მოითხოვა საბინაო ქირის შესახებ კანონის ძალაში შესვლის გადადება 1928 წლის ივლისამდე.

მთელმა პალატამ სოციალისტებთან ერთად უარჰყო კომუნისტების წინადადება.

საუბარი კალინინთან მისი მოგზაურობის შესახებ

ამხ. კალინის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოს სოფლებში და ქალაქებში დამთავრდა 12 მარტს.

ყველაზე საყურადღებოს წარმოადგენდა სოფლებში მოგზაურობა და იქაურ გლეხკაცობასთან პირის-პირ შეხვედრა.

მოსკოვში გამგზავრებამდის ჩვენი თანამშრომელი უკანასკნელათ ებაასა ამხ. კალინინს იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება გამოიტანა საქართველოს სოფლებში ყოფნის დროს.

— ამხ. კალინინო! თქვენ იყავით დასავლეთ საქართველოს შვიდ ქალაქში და რვა სოფელში. ქალაქი——ეს ჩვეულებრივი რამეა. გთხოვთ მიპასუხოთ საბოლოვო აზრი: სოფლებში ყოფნისას ყველაზე აღსანიშნავი და თვალსაჩინო რა ნახეთ?

— ძლიერი კომუნისტური პარტია! მე არ მეგონა, თუ საქართველოს სოფლებში კომპარტია ასეთი ძლიერი იქნებოდა.

— თვით ჩვენმა გლეხკაცობამ რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე?

— თქვენი გლეხკაცობა მე წარმომიდგა ძალიან აქტიურათ და შეგნებულათ. მე ბევრათ ნაკლები წარმოდგენა მქონდა მაზზე, ვიდრე ვნახავდი.

— თქვენი აზრით ყველაზე მწვავე ტკივილები ჩვენი გლეხკაცობისა რა არის?

— ყველაზე დიდი ტკივილი არის ეკონომიური. ყველგან სჩიოდენ გადასახადებზე და სოფლის ნაწარმოების სიაფეზე. მაგრამ პოლიტიკური ტკივილებიც საკმარისია. თქვენი გლეხობა აქტიური ელემენტია, მაგრამ მასში არ ყოფილა საზოგადოებრივი ცხოვრება. პარტიას თავის ფარგლებში ჩაუკეტია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება და ეს დიდძალი უპარტიო მაგრამ შეგნებული და აქტიური გლეხკაცობა კი გარეთ დარჩენილა. ერთ უმთავრეს მიზეზათ გლეხკაცობის უკმაყოფილებისა სწორეთ ეს უნდა ჩაითვალოს.

— ამ თქვენ მოგზაურობას ექნება თუ არა რამე პრაქტიკული მნიშვნელობა?

— გლეხურ ფართე მასების პრაქტიკულათ მუშაობაში ჩაბმა საქართ. ხელისუფლებისაგანაც გადაწყვეტილია და საამისო ნაბიჯები კიდევაც იდგმება. მე კი ამ ჩემი მოგზაურობით მხოლოდ უფრო რელიეფურათ, უფრო აშკარათ გამოვიტანე საჭიროება გლეხურ უპარტიო, ფართე მასების მუშაობაში ჩაბმისა.

— კმაყოფილი დარჩით თუ არა, ადგილობრივ ხელისუფლების მუშაობით.

— იმდენათ, რამდენადაც გლეხები არა სჩიოდენ სოფლის დაბალ ადმინისტრაციაზე, ისინი ღირსეულათ მიმაჩნიან, რაც შეეხება სამაზროს——ამის შესახებ ვერას ვიტყვი, რადგან არ ვიცნობ.

— სარწმუნოების საკითხზე რა აზრისა დარჩით?

ამ ექვსი დღის განმავლობაში, მეგონი კარგათ გაიგეთ ჩემი აზრი ამ საკითხის შესახებ. მაინც კიდე ვიტყვი, რომ პარტიას სწორე გზა ვერ აუღია ამ საკითხის გადასაჭრელათ და უფრო წინააღმდეგ შედეგისთვის მიუღწევია ვიდრე ის ფიქრობდა. ეკლესიებში მოხუცების ლოცვა და თუნდა ახალგაზრდებისაც მე კონტრ-რევოლიუციათ არ მიმაჩნია. მაგრამ ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია და აღარავითარ დევნას ადგილი არ ექნება. მორწმუნეთა წინააღმდეგ.

— გასულ წლის აჯანყების მთავარ მიზეზათ რა წარმოგიდგათ თქვენ?

— ყველაფერს დაკვირვება და მოფიქრება უნდა, რაც ვნახე და გავიგონე. მიზეზებათ ბევრი რამ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა ჩამოყალიბებული კი ვერ არის კარგათ. ყოველ შემთხვევაში მარტო მენშევიკების გავლენას არ მიეწერება ეს აჯანყება. აქ უეჭველათ თვით საბჭოთა ხელისუფლებაც მოიკოჭლებდა რაღაცაში, რითაც უეჭველათ სარგებლობდენ მენშევიკები და ხალხის ყრუ უკმაყოფილებას აქტიურ სახეს აძლევდენ. უკვე დრო არის ყველაფერი ეს შეცდომა გამოვასწოროთ და ჩვენ მტრებს აღარ მივსცეთ ჩვენივე საწინააღმდეგო იარაღი.

ამითი დამთავრდა საუბარი.

დასასრულ ამხ. კალინინმა სთხოვა ჩვენ თანამშრომელს: მის სოფლებში მოგზაურობის შესახებ თუ კი დაიბეჭდება რამე წერილები, უეჭველათ გავუგზავნოთ მოსკოვში. სანაცვლოდ შეგვპირდა თავის სტენოგრაფიულ ანგარიშები, რომელთა გადათარგმნასაც დაამთავრებენ მოსკოვში.

მოამბე.

აზერბეიჯანის საბჭოთა 4 ყრილობა

ყრილობის გახსნა.

ბაქო. 10 მარტს, საღამოს 5 საათზე, თეატრის დარბაზში ამხ. აგამალი-ოღლის თავმჯდომარეობით გაიხსნა აზერბეიჯანის საბჭოთა მეოთხე ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 600 მეტი დელეგატი.

ამხ. აღამალი-ოღლის სიტყვა.

ყრილობას სიტყვით მიმართა აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ, რომელიც მოკლეთ შეეხო საბჭოთა კავშირის შინაურ და საერთაშორისო მდგომარეობას.

— აზერბეიჯანში,—ამბობს ორატორი, გვაქვს დიდი მიღწევები. მიწის საკითხი და წყლის მეურნეობა, ეს უმთავრესი საკითხები აზერბეიჯანის სინამდვილეში,—უკვე მოწესრიგებულია. მრეწველობის დარგში, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობაში, ჩვენ გვაქვს ფრიად მნიშვნელოვანი მიღწევები.

წინ წაიწია აგრეთვე მუშათა კლასის და აზერბეიჯანელი გლეხობის თვითშეგნებამაც. აზერბეიჯანის მცხოვრებთა შორის არასოდეს არ ყოფილა ისეთი აქტიობა, როგორც დღეს.

— ჩვენ დიდი მანძილით დავშორდით წარსულს,—სთქვა დასასრულ ამხ. აღამალი-ოღლიმ, და ამჟამად ვიმყოფებით ისეთ უღელტეხილზე, საიდანაც უკვე კარგათა სჩანს საბოლოო გამარჯვება".

შემდეგ ყრილობას მისასალმებელი სიტყვით მიმართავს თურქმენთა ს. ს. რესპუბლიკის წარმომადგენელი ამხ. აისკატოვი და ყირიმის საბ. სოც. რესპუბლიკის სახელით ამხ. ბეკიროვი.

აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს მოქმედება

(მომხსენებელი აზერ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი)

მისალმებათა დასრულების შემდეგ აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს მთავრობის თავმჯდომარე ამხ. მუსაბეკოვი რომელიც თავის მოხსენების შესავალს უძღვნის საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებას.

ბაქოს ნავთი,—ამბობს მომხსენებელი მოსვენებას არ აძლევს კაპიტალისტებს; იგი, როგორც ანდამატი, იზიდავს იმპერიალისტურ ქვეყნებს. ეს აძლევს აზერბეიჯანს და მთელს ა.-კ. ფედერაციას განსაკუთრებულ ხვედრი წონას. ამიტომ საჭიროა აქ იქნეს განსაკუთრებით ძლიერი პროლეტარული ნებისყოფა და შეკავშირება.——თავისუფალი აზერბეიჯანი,—განაგრძობს მომხსენებელი დევისებური ნაბიჯით მიდის წინ ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე.

საბჭოთა ხელისუფლებას აზერბეიჯანში მაგრად აქვს ფეხი გადგმული რაც ნათელი გახდა მენშევიკური ავანტიურის დროს, როცა მუსავატელებმა სცადეს აზერბეიჯანელ გლეხის ავანტიურაში ჩათრევა, მაგრამ იგი მას არ გაჰყვა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება აზერბეიჯანის სასოფლო-მეურნეობას.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, ჩვენი სასოფლო მეურნეობა იწყებს აღორძინებას. 1924 წელს დათესილი იყო 830.000 დესეტინა—ანუ მის წინა დროს დათესილ მოედნის (1914 წელს დათესილი იყო 105 ათასი დესეტ.) 95—96 პროც. 1922 წელს ბამბით დათესილი იყო 1000 დესეტ. 23 წელს—23 ათასი დესეტ. 24 წელს—85.000 დესეტ. ე. ი. 1924 წელს ბამბით დათესილი მოედნის სივრცე 80 პროც. დაუახლოვდა 1913 წლის დონეს, რომელიც ბამბის მეურნეობის განვითარების უმაღლეს წერტილად ითვლება აზერბეიჯანში.

გასული წლის მოუსავლობა სამწუხაროდ შეანელებს სასოფლო მეურნეობის განვითარების ტემპს.

მებაღეობა აღდგენის გზას ადგია. გაპარტახებული ძალები უკვე აღდგენილია. ყურძნის და ხილის მოსავალი წრეულს ჩინებული იყო, რამაც რამოდენიმედ აანაზღაურა პურის მოუსავლობით გამოწვეული ზარალი. წინ მიიწევს აგრეთვე მეაბრეშუმეობაც. 1921 წელს აზერბეიჯანში გამოჩეკილ იქნა 5 ათასი კოლოფი თესლი.

1922 წელს 20,000 კოლოფი, 23 წელს—49,000, 1924 წელს—70,000 კოლოფი. მთავრობა ყოველგვარ ღონისძიებით სცდილობს აღადგინოს მეაბრეშუმეობა ომის წინა დონემდე.

დიდ ზიანს აძლევს ჩვენს მეურნეობას სხვადასხვა მავნეები მოლანის ირრიგაციული სისტემის მოშლამ ხელი შეუწყო კალიის გაჩენას. 1921 წელს კალიის თავდასხმამ კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩააყენა ქვეყანა. 3 წელიწადია სწარმოებს ბრძოლა კალიის წინააღმდეგ. ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

ირრიგაციას მთავრობა აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. ამ დარგში ბევრი რამ არის გაკეთებული ბამბის სათესი მოედნის გასაფართოებლად ამ უახლოესი 5 წლისთვის განზრახულია დაიხარჯოს 18 მილიონი მანეთი. დანგრეული სარწყავი ყიაგრ-ზებით (ქებით) აღსადგენად განზრახულია გადაიდოს—1,215,857 მანეთი.

საერთოდ სასოფლო მეურნეობა მშვიდობიან დროსთან შედარებით 85,8 პროცენტით აღდგენილად უნდა ჩაითვალოს.

თბილისის ახალი საბჭოს საზეიმო სხდომა

ხუთშაბათს, საღამოს 5 ნახ. საათზე, სახელმწიფო ოპერის თეატრში შესდგა თბილისის მეხუთე მოწვევის საბჭოს პლენუმის საზეიმო სხდომა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან და ადგილკომებთან ერთად ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამი წლის არსებობის აღსანიშნავად.

სხდომა გახსნა ამხ. ლადო სუხიშვილმა, რომელმაც საბჭოს მიმართა მოკლე სიტყვით.

ამხ. ლ. სუხიშვილის სიტყვა

თბილისის ახალი საბჭოს დღევანდელი კრების მოწვევის უმთავრესი მიზანია—ამბობს ამხ. სუხიშვილი—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის 3 წლის არსებობის თავის აღნიშვნა.

ჩვენ, ამხანაგებო, გვახსოვს ის მდგომარეობა, რომელიც იყო ამიერ-კავკასიაში მეფის მთავრობის დროს. ვისაც ახსოვს 1905 წლის ამბები, მან კარგათ იცის, თუ რა სისხლისღვრა დაატრიალეს აქ მეფის მთავრობის აგენტებმა.

ჩვენ გვახსოვს სომეხ-თათართა ჟლეტა და სისხლისღვრა, რომელიც აქ დაიწყო 1905 წელს. ჩვენ ვიცით, რომ ეს სისხლისღვრა განგებ იყო გამოწვეული მეფის აგენტების მიერ იმ მიზნით, რომ დაესუსტებიათ ეს ერები და ამით განემტკიცებიათ თავისი ბატონობა. ჩვენ, ქართველებს, გვინდოდა ამ სისხლისღვრის მოსპობა, მაგრამ მაშინ ამის საშუალება არ გვქონდა.

გვახსოვს აგრეთვე ქართველ-სომეხთა დავა იმის შესახებ, თუ სად უნდა აგებულიყო თბილისის უნივერსიტეტის შენობა. სომხური ბურჟუაზია სცდილობდა დაემტკიცებია, რომ უნივერსიტეტისათვის საუკეთესო ადგილი იქნებოდა ნავთლუღი. ქართველი თავად-აზნაურობა კი ამტკიცებდა, რომ უნივერსიტეტის შენობა უნდა აგებულიყო ვერაზე, რომლის კლიმატიური და სხვაგვარი პირობები, მისი აზრით, ყოვლის მხრივ ხელსაყრელი იყო უნივერსიტეტის ამ რაიონში მოწყობისათვის.

ამ შემთხვევაში სომხურ ბურჟუაზიას და ქართველ თავად-აზნაურობას, თითქოს, თავისი საკუთარი ერის ინტერესები ალაპარაკებდა, მაგრამ არსებითად ისინი თავის კლასიურ ინტერესებს იცავდენ. მათ უნდოდათ მხოლოდ იმ მიწების გასაღება, რომელიც მათ ბლომათ ჰქონდათ ნავთლუღში (სომხურ ბურჟუაზიას) და ვერაზე (ქართველ თავად-აზნაურობას).

ჩვენ გვახსოვს მენშევიკების, დაშნაკების და მუსავატელების ბატონობის დრო, როდესაც ამიერ-კავკასიის ერები მუდმივ ბრძოლას არამოებდენ ერთმანეთთან. ამ მთავრობების არსებობის დროს ამიერ-კავკასიაში სათანადოთ გადაწყვეტილი არ იყო ეროვნული საკითხი.

მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ გადასჭრა სავსებით ეს საკითხი: მოისპო მტრობა, შუღლი და მუდმივი სისხლისღვრა ამიერ-კავკასიის ერებს შორის.

ამასთანავე გადაწყვეტილია ეკონომიური საკითხიც. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნამ საშუალება მოგვცა ეკონომიურათ მჭიდროთ დაგვეკავშირებია ერთმანეთისათვის ყველა ეს რესპუბლიკები.

ამას გარდა ამ ფედერაციამ ყველა ეს რესპუბლიკები გააერთიანა ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმში, რაც საშუალებას გვაძლევს ერთიანი პროლეტარული ფრონტი შევქმნათ კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მე ვულოცავ თბილისის ახალ საბჭოს და თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებს ა.-კ. რესპუბლიკების ფედერაციის 3 წლის არსებობას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში და მთელს საბჭოთა კავშირში! (ტაში).

შემდეგ ამხ. სერგო ორჯონიკიძემ წარმოსთქვა სიტყვა ამ.-კავკასიის ფედერაციის სამი წლის არსებობის გამო.

მის სიტყვას ჩვენ მოვათავსებთ ხვალ.

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება

მომხსენებელი ეხება იმ მიზეზებს, რომელთაც აუცილებელი გახადეს ა|კავკასიის რესპუბლიკათა შეკავშირება ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულად. ა.|კ. ფედერაცია შეიქმნა არა მარტო შინაური ცხოვრების მოსაწესრიგებლად, იგი ნაკარნახევი იყო საერთაშორისო მდგომარეობით. რომელიც დახასიათდება რევოლიუციონურის სიტუაციით.

საქართველოს გასაბჭოებას და ა|კ. სხვა გასაბჭოებული რესპუბლიკების შეკავშირებას მოითხოვდა რევოლიუციის მონაპოვართა უზრუნველყოფის ინტერესები.

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს იმ ეროვნულ უნდობლობას და მუდმივ მტრულ დამოკიდებულებას, რომელიც გასაბჭოებამდე არსებობდა ა|კავკასიაში. ა|კავკასიის ფედერაცია გამოდგა იარაღი, რომელმაც გაადვილა ბრძოლა, გამხეცებული შოვინიზმის წინააღმდეგ. ამჟამად ა|კავკასია უკვე დამშვიდებულია, ეროვნული შუღლის ნაცვლად დღეს ბატონობს ეროვნული მშვიდობიანობა და კეთილ-მეზობლობა. მაგრამ სიმშვიდე არ წარმოადგენს თვითმიზანს, რომელიც დააკმაყოფილებს ა|კ. ერთა საჭიროებას.

ეროვნული მშვიდობიანობა აუცილებელი პირობა იყო, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი გამხდარიყო მეურნეობის ასაღორძინებელი მუშაობა და კულტურული მშენებლობა, დღიდან ა|კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანებისა იწყება ინტენსიური და გაცხოველებული საქმიანობა ჩვენი მეურნეობის და სახელმწიფო მშენებლობის ყოველ დარგში.

ცხადია, ა|კ. რესპუბლიკათა ცხოვრებაში წინმსვლელობას ადგილი ექნებოდა გაერთიანებაც რომ არ მომხდარიყო, მაგრამ ფედერაციის შექმნამ განვითარების ტემპი უფრო ჩქარი გახადა ა|კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკები არიან თანაბარი და თანასწორ უფლებიანი.

ხელისუფლება ცდილობს უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს იმ პატარა ერებს, რომელნიც უკულმართი ისტორიული პირობების გამო ეკონომიურად და კულტურად ჩამორჩენ. სწორედ ამ მიმართულებით სწარმოებდა და მომავალშიაც იწარმოებს საბჭოთა მუშაობა, რომელმაც უკვე მნიშვნელოვანი ნაყოფი მოგვცა.

მომხსენებელს მაგალითად მოჰყავს საბჭოთა აჭარისტანი, სადაც 3 წლ. განმავლობაში ამდენი გაკეთდა, რის გაკეთებაც არ შეიძლებოდა არც ერთი წყობილების დროს.

ყველა ეს მიღწევები გვიჩვენებს, რომ ა|კავკასიის ფედერაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს ამხ. ლენინის მიერ ნაკარნახევი აზრი ა|კ. რესპუბლიკათა გაერთიანების შესახებ და აგრეთვე 26 კომუნართა სისხლი, ისტორიულად საერთოო გამართლებულია შემდეგ მომხსენებელი გადადის იმ საჭირ-ბოროტო საკითხებზე, რომელიც აწუხებს ჩვენს ქვეყანას. მომხსენებელი ნათლად ამტკიცებს ქართველ ინტელიგენციის ერთი ნაწილის შორის გავრცელებულ იმ აზრის უსაფუძვლობას, თითქოს ქართველი ინტელიგენცია, საქართველოში ეროვნულ უმცირესობის პირობებში იყოს ჩაყენებული, თითქოს ქართველებთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით სარგებლობდნენ სხვა ერის შვილნი.

ასეთი უსაფუძვლო ხმების გავრცელებას მიზეზად მომხსენებელი სთვლის ინტელიგენციის უმუშევრობას, რომელიც შედეგია ქართველი ინტელიგენციის სიჭარბის. აქ მომხსენებელს მოჰყავს ამხ. კალინინის აზრი ქართველი ინტელიგენციის გამოყენებების შესახებ. ამხ. კალინინი, მომხსენებელის აზრით, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოს ხელმძღვანელი, მოვალე იყო შეხებოდა იმ მტკივნეულ საკითხებს, რომელიც აწუხებს საბჭოთა კავშირში შემავალ ერთ-ერთ რესპუბლიკას.

ამხ. კალინინმა სთქვა, რომ საქართველო იმხომ დიდ რიცხვს ინტელიგენციისას, რომელიც მას ჰყავს, ვერ ზიდავს; საქართველოს მეურნეობა არ შეუძლია აიტანოს ინტელიგენციის ასეთი სიჭარბე.

ერთ-ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ის არის, რომ იგი გამოყენებული იქნეს საბჭოთა კავშირის იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართველი ინტელიგენცია მოღვაწეობდა რამდენიმე წლის წინად.

ამხ. კალინინი საკითხს მიუდგა სწორათ და ისეთი საზომით, რომელიც სავალდებულოა ყოველი პოლიტიკური მოაზროვნისათვის, ვინაიდან საქართველოს ინტელიგენციის საკითხი არის საკითხი ჩვენი საწარმოო ძალების, რომელიც ჯერ კიდევ ისე არ არის განვითარებული, რომ სავსებით მოახმაროს და გამოიყენოს ჩვენში მყოფი კულტურული ძალები.

ყველა მოქალაქემ უნდა შეითვისოს ის აზრი, რომ მხოლოდ ერთიმეორის დახმარებით და შრომის განაწილებით საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მოახერხებენ თავი დააღწიონ გაჭირვებულ მდგომარეობას.

ქართველი ხალხის სარგებლიანობის ინტერესი მოითხოვს, ასრულებს ამხ. მომხსენებელი, რომ ვიყოთ თანასწორი როგორც ბრძოლაში, ისე ამ ბრძოლით მოპოვებულ სიკეთეთა გამოყენებაში.

გზა გაერთიანებისა და შეკავშირებისა და პატარა ერებისა დიდ ერებთან, მათთან ყოფნა ჭირსა და ლხინში,— ერთ ფერხულში ჩაბმულ ყველა ერებს მიგვიყვანს იმ სანატრელ სამეფოში, რომელსაც ქვია კომუნიზმი და სოციალიზმი.

მომხსენებელს ხანგრძლივი ტაშით აჯილდოვებენ.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომელსაც პასუხი გასცა ამხ. ს. ორჯონიკიძემ.

საბჭომ წაკითხულ მოხსენებების შემდეგ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა მე-5 მოწვევის საბჭომ თავის პირველ სხდომაზე მოისმინა რა ამხ. ამხ. სერგო ორჯონიკიძის და მამია ორახელაშვილის მოხსენებანი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მესამე წლის თავის შესახებ, აღნიშნავს, რომ სამი წლის წინად ა.|კ. საბჭოთა რესპუბლიკების მიერ არჩეული გზა ძმური სოლიდარობისა და გაერთიანებული ბრძოლისა პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ ფრონტებზე—გზა, რომელიც დროზე ნაჩვენები იყო მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ლენინის მიერ, აღმოჩნდა სწორი და სრულიად მისაღები ამიერ-კავკასიის მუშების და გლეხებისათვის.

ამ სამი რესპუბლიკის გაერთიანებამ ერთს ფედერაციაში უკვე მოიტანა სასურველი ნაყოფი. ერთხელ და სამუდამოთ მოისპო ეროვნული შუღლის ნიადაგზე სისხლისღვრა და შოვინიზმი, რასაც ადგილი ჰქონდა წინანდელი მთავრობების დროს. შესაძლებელი შეიქნა ნაციონალურ კულტურათა თავისუფალი დაუბრკოლებელი განვითარება. გადადგმულ იქნა დიდი ნაბიჯი წინ სახალხო მეურნეობაში და სხვა.

ეკონომიურ ფრონტზე დაწყებული აღდგენათა პროცესი, ჩვენი ქვეყნის კულტურულ ძალთა განვითარება, ა.|კ. პოლიტიკურად გამაგრება-გაძლიერება პირდაპირ შედეგია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა გაერთიანების, ერთს მძლავრ ფედერაციაში, რომელიც თავის მხრით შედის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, როგორც თანაბარ უფლებიანი რესპუბლიკა.

ფედერაციის საშუალებით ა.|კ. პროლეტარიატი უწვდის ხელს თავის უფროსს ძმას რუსეთის პროლეტარიატს, რომლისგან ის დიდი ხნის განმავლობაში იყო მოწყვეტილი ანტი-საბჭოთა პარტიების ჩვენში არსებობის დროს.

კერძოთ თბილისის საბჭო ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა მხოლოდ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირის ნიადაგზე და მიაღწია დიდს შედეგებს საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში.

თბილისის საბჭო მხურვალე სალამს უძღვნის ფედერაციის მესამე წლის თავზე ა.|კ. მთავრობას და უსურვებს მას მომავალშიაც გამარჯვებას მუშა-გლეხთა სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში.

რევოლიუციონურ ბრძოლაში გაკაჟებული თბილისის პროლეტარიატი და თბილისის მაზრის გლეხობა, როგორც ამდენს ხანს, ისე მომავალშიაც მთელი თავისი ძალებით მზათაა დაიცვას სიძლიერე და სიმრთელე ა.|კ. ფედერაციის და მჭიდრო, განუწყვეტელი კავშირი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოც. რესპ. კავშირს!

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

პარტიული ცხოვრება

ავტო-სახელოსნოების კომუჯრედის № 26-ის მუშაობა სამი თვის განმავლობაში

კომუჯრედი მოწყობილია 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში. ქარხანა შეიცავს 12 საწარმოო ცეხს, სადაც სულ მუშაობს 316 მუშა-მოსამსახურე, რომელთაგან: კვალიფიციური მუშაკია—269 და დამხმარე—47.

უჯრედის შემადგენლობა.

უჯრედში ითვლება პარტიის 24 წევრი და 60 კანდიდატი, რომელთაგან 52 მიღებული იქნა პარტიაში 1924 წელს. უჯრედის შემადგენლობიდან ფიზიკურ შრომას ეწევა 74 კაცი, გონებრივს—10. უჯრედის საერთო შემადგენლობიდან 5 ამხანაგი იმავე დროს ითვლება ა. ლ. კ. კ. წევრათ.

ბიუროს მუშაობა.

ბიუროში შედის 7 წევრი და 2 კანდიდატი. აღნიშნული დროის განმავლობაში ბიუროს ჰქონდა 12 სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა 67 საკითხი. ბიურო თავის სხდომებზე რიგრიგობით იწვევდა უჯრედის ყველა წევრებს, რომ ამით საშუალება მიეცა მათთვის გაცნობოდენ ბიუროს მუშაობას; ამასთანავე ბიურო ანგარიშს უწევს მათ მიერ წამოყენებულ კითხვებს და შეაქვს ისინი უჯრედის დღის წესრიგში. უჯრედის ბიუროს სხდომებზე რეგულიარულათ მოხსენებებს აკეთებენ უჯრედის ყველა კომისიები.

უჯრედის მუშაობა.

უჯრედის ბიუროს ძირითადი მუშაობა უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამოიხატებოდა იმაში, რომ ის სცდილობდა უჯრედის კომისიები პრაქტიკულ მუშაობაში ჩაება კომპარტიის წევრები და კანდიდატები. გარდა პარტიული მუშაობისა, უჯრედის წევრების 35 პროც. ჩაბმულია პროფესიონალურ, კულტურულ და საზოგადოებრივ მუშაობაში: უჯრედის წევრები მონაწილეობას იღებენ საშეფო კომისიების, საქარხნო კომიტეტების, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის, კულტკომისიის, საწარმოო თათბირების, შრომის დაცვის და სარევიზიო კომისიის მუშაობაში. ამას გარდა უჯრედიდან გამოყოფილი არიან ცეხების ორგანიზატორები—10 კაცი.

უჯრედთან მუშაობს საagიტაციო-საპროპაგანდო კომისია, რომელიც განაგებს უჯრედის მიერ გახსნილ სკოლებს. კომუჯრედმა მოაწყო ერთი პოლიტიკური სკოლა უპარტიო მუშებისათვის და ლენინიზმის შესწავლის წრე უჯრედის ყველა წევრები, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა, მეცადინეობენ, როგორც ადგილობრივ სკოლებში, ისე რაიკომშიაც. მარქსისტულ წრეში რუსულ ენაზე მეცადინეობს 13 ამხანაგი, რაიონულ პარტიულ სკოლაში—20 ამხანაგი, ქართულში—14 და სომხურ სკოლაში—3. ყველა დანარჩენ პოლიტიკურ სკოლებში და წერა-კითხვის უცოდინარობის სკოლებში ჩაბმულია 29 ამხანაგი.

უპარტიო მუშებს შორის

კომუჯრედს უპარტიო მუშებში სათანადო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში 12 სხდომიდან 9 ღია იყო. უჯრედის ბიურო ხელმძღვანელობს ცეხების ორგანიზატორების აზრით (ეს ორგანიზატორები ხელიხელ ჩაკიდებული მუშაობენ უპარტიო მუშებთან) და უჯრედის სხდომების დღის წესრიგში შეაქვს ის საკითხები, რომლებიც აინტერესებს მუშების უპარტიო მასას. მუშაობის ასეთმა დაყენებამ მეტათ დააინტერესა უპარტიო მუშები და ისინი მრავლათ ესწრებიან უჯრედის სხდომებს.

მუშაობა ქალთა შორის

უჯრედიდან გამოყოფილია ქალთა ორგანიზატორი; თუმცა ქალთა ორგანიზატორის ძირითადი მუშაობა ქარხანაში არ მიმდინარეობს, რადგან იქ მხოლოდ 12 ქალი მუშაობს, მაგრამ ფართოდ გაიშალა მუშაობა დიასახლისებს შორის. კომუჯრედმა დიასახლისებისათვის მოაწყო პოლიტიკური სკოლა. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ქალთა ორგანიზატორმა მოაწყო 3 კრება, რომლებზედაც წაკითხული იყო მოხსენებები: სოციალური დაზღვევის შესახებ, ლენინი და ქალთა განთავისუფლება, ბავშვების მეგობართა საზოგადოების მნიშვნელობა და სხვა. ამას გარდა დიასახლისები ჩაბმული არიან ახალგაზრდა პიონერთა კოლექტივის და ქარხნის საკლუბო მუშაობაში.

როტინოვი.

კომკავშირის მორიგი გამარჯვება

ქალთა შორის მუშაობა კომკავშირის საერთო მუშაობის ერთ-ერთი სერიოზული ამოცანაა. ახალგაზრდა ქალთა რაოდენობის სიმცირემ ჩვენს ორგანიზაციაში თავის დროზე ჩააფიქრა ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები და აალებია მას მტკიცე კურსი ქალიშვილთა შორის მუშაობის გაფართოებისა და გაღრმავებისათვის.

როგორი სურათი გვქონდა ჩვენ წინეთ?

თითქმის ყველა სამაზრო და საოლქო ორგანიზაციებში კომკავშირელ ქალიშვილებს თითებზე დავითვლიდით.

გარდა ამისა კომკავშირში არ იყვნენ ჩაბმული გლეხი ქალიშვილები. თუ წინათ სამ თვეში ერთი რომელიმე ქალიშვილის მიერ შემოტანილი განცხადება კავშირში მიღების შესახებ მაზრისთვის რაღაც არაჩვეულებრივი მოვლენას წარმოადგენდა, დღეს ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ქალიშვილების მიერ ჯგუფურად შემოტანილი განცხადებები ჩვეულებრივ მოვლენათ ითვლება. უდავოა, რომ კომკავშირი სავსებით შეიჭრა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა კუნჭულებში.

მაგ. გორის მაზრაში შეხვდებით შემდეგს სურათებს: ფეხშიშველა, მკლავებ-დაკაპიწებული გლეხი ქალები სიცილ-ხარხარით აბრუნებენ მიწის დიდრონ ბელტებს——გულზე კი „კიმ"-ს ნიშანი აქვთ გაკეთებული. ისინი კომკავშირის წევრებია. იქ არის ისეთი უჯრედებიც, სადაც 50—60 პროც. ქალები შეადგენენ. ასეთივე მდგომარეობაა სამხრეთოსეთშიაც, სადაც ორგანიზაციის წევრთა 14 პროც. ახალგაზრდა გლეხი ქალებია. თვით კულტურულათ ჩამორჩენილ სვანეთშიდაც, სადაც კომკავშირის ორგანიზაციები მცირე რიცხოვანია, ორგანიზაციაში ირიცხება 17 კომკავშირელი-ქალიშვილი.

მაგრამ აქ ყველაზე უფრო აღსანიშნავია სწორედ ის გარემოება, რომ თავისი მოქნილი და ფრთხილი მუშაობით კომკავშირმა მუსულმან ქალებსაც ახადა ტრადიციული ჩადრი, და ჩააბა ისინიც საბჭოთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. ბორჩალოს ორგანიზაციაში ჩვენ გვყავს 80 მუსულმანი ქალიშვილი; ახალციხეში—56. ეს უთუოდ დიდი მიღწევაა.

მაგრამ ჩვენი ყურადღება მარტო იმისაკენ არ არის მიქცეული, რომ რაოდენობით გავზარდოთ ქალიშვილები კავშირში. საჭიროა მათი წამოყენება აქტიურ სამუშაოზე. ჩვენ კი ამ მხრივ ცოტას მოვისუსტებთ.

ამრიგად ახალგაზრდა ქალთა შორის მუშაობა დავძარით უძრავ წერტილიდან. მიღწევები საგრძნობი გვაქვს. ჩვენს მიერ აღებული კურსი გაამართლა ცხოვრებამ, მხოლოდ ამით ყველაფერი არ გათავებულა. მომავალში საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ახალგაზრდა ქალიშვილთა როგორც რაოდენობით ზრდას ჩვენს კავშირში, ისე მათ თვისებრივ გადამუშავებას——აქტიურ სამუშაოებზე გამოყენებას.

გ. ხ.

საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

მუშათა ცხოვრება

როდის მოეღება ბოლო პროტექციას.

(თბილისის აღმასკომის და უძრავ ქონებათა სამმართველოს საყურადღებოდ).

ბევრი იწერება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ქ. აღმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს მუშაობაზე, მაგრამ დღემდის ამ დაწესებულებას არ გამოუსწორებია თავის მუშაობის შეცდომები.

საქმე შემდეგშია: 1924 წ. 15 დეკემბერს საბჭოთა მუშაკების კავშირმა მიმართა ქ. თბილისის უძრავ ქონებათა სამმართველოს, რომ კორღანოვის ქუჩაზე მდებარე სახლის № 24. მობინადრე ცაგარელი (კომერსანტი) მოქ. ბერიძე გადაესახლებინათ შუკაკიძის ბინაში და შუკაკიძე კი ბერიძის ბინაში, ვინაიდან ამ სახლში აღმასკომს ეკუთვნის 33 პროც. და ამ 33 პროც.-ში ცხოვრობს ბერიძე. უძრავ ქონებათა სამმართველომ მიიღო კავშირის მომართვა და ამხ. ასრიევმა გასცა განკარგულება მილიციის უფროსს, რომ ადმინისტრაციული წესით ბერიძე ჩაესახლებიათ შუკაკიძის ბინაში და შუკაკიძე კი ბერიძის ბინაში. 17 დეკემბერს როდესაც მილიცია ასახლებდა ბერიძეს შუკაკიძის ბინაში და შეიტანა ხაბაკი სწორეთ ამ დროს მოაქვს მოქ. ბერიძეს ბაბუნაშვილის განკარგულება, რომ შუკაკიძეზე გაცემული ორდერი შეჩერებიათ, ვინაიდან ბერიძემ განაცხადა, რომ ეს ბინა არის კერძო და არა თქვენი.

ბაბუნაშვილი არ ეყრდნობა არც კავშირის მომართვას და არც 3 | მგ. ამხანაგის განცხადებას, მხოლოდ ის ეყრდნობა იმ ბერიძის განცხადებას რომელიც დღეს კარგი კომერსანტი არის, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გამობრძანდა ჩეკის პადვლიდან. აი ასეთ პირებს უწევს პროტექციას მოქ. ბაბუნაშვილი. ამ გვარ პროტექციას ბოლო უნდა მოეღოთ.

ინფ. გ. შ.

ამხ. ალექსანდრიას ოინები

(საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის საყურადღებოდ).

მე-12 საგადასახადო უბნის ბუღალტერი ამხ. გ. ბოჭორიშვილი, როგორც ოფიციალურ ცნობიდან სჩანს სრულიად უდანაშაულოდ იყო დაპატიმრებული. როდესაც ბოჭორიშვილმა განთავისუფლებისას მოითხოვა სამსახურში აღდგენა, მოქ. ალექსანდრიამ დიდი წინააღმდეგობა გაუწია მას (კერძო ინტერესის გამო), რითაც მისი პრესტიჟი დასცა. მთელი თანამშრომლები ამხ. ბოჭორიშვილის მომხრენი არიან, როგორც საქმის მცოდნე და პატიოსანი ადამიანისა, მაგრამ დასახელებული ალექსანდრია მას წინ ელობება და უსამართლოდ ჩაგრავს.

ალაგმეთ ეს ვაჟბატონი!

მუშკორი მემუჩრუკეშვილი.

ნუ დაანგრევთ საბჭოთა სახლს

(ქალ. კომენდანტის საყურადღებოდ).

სასამართლოს ქუჩაზე, № 33, საბჭოთა სახლი მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ეს სახლი ქალაქის სკომენდანტოს განკარგულებაშია. სახლში დიდი ყინვების გამო დასკდა წყალსადენის მილები, რის გამო შემდეგ შენობის კედლებიდან იწყო დენა წყალმა. და ამის გამო კედლები ძლიერ დაზიანდა—ირღვევა. მილები, თუმცა მი შესაკეთებლად ორჯერ მობოჭეს ფულები, დღესაც შეუკეთებელია. მცხოვრებნი მით ვერ სარგებლობენ ხეირიანად.

მეტად ანტ-სანიტარულ მდგომარეობაშია ამ სახლის „პოდიეზდი“-ც. აქ ყრია აგურები. აქვე ყრიან მცხოვრებნი ნახველს. ის არ იწმინდება.

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამას.

მუშკორი ი—დი.

ა | კ. რკინის-გზების წარმონაწილი

წარმონაწილი ემსახურება ა | კ. რკინის გზებს ყოველგვარი შეკეთებით და საგნების დამზადებით. იმყოფება სამეურნეო ხარჯზე. საგნები მზადდება შეჯიბრებით, დანარჩენი წვრილი სამუშაოები, როგორიცაა გადაკეთება, შეკეთება და სხვა კეთდება სამასალო სამსახურის შეკვეთებით. წარმონაწილი შესდგება 8 განყოფილებისაგან: 1) ხის დამამუშავებელი; 2) სათუნუქო; 3) სასარაჯო; 4) საპატრუქო; 5) სადამლო; 6) საპონდერო; 7) სამღებრო; 8) საზეინკლო.

მთელ ამ განყოფილებებში მუშაობს 84 კაცი. ყველა მუშებს დაურიგდათ სპეც-ტანსაცმელი. ხელფასს იღებენ დროზე; საშუალოდ მუშის ხელფასი განისაზღვრება 25—30 მ. თვეში. დაარსებულია სხვადასხვა პოლიტ-წრეები.

მუშები ხალისიანად მეცადინეობენ. მუშაობს ორი ელექტრო-მოტორი.

გასულ წელს წარმონაწილს დარჩა 8283 მ. 52 კ. წმინდა მოგება.

მუშკორი ტაბაკინელი.

ჩვენი კავშირის წევრი, ჩვენვე გვჩაგრავს.

(რკ. გზის პროფკავშირის საყურადღებოდ).

სადგურ თბილისის კონდუქტურს ეგნატე ადიკაშვილს აქვს სახლი რუსთაველის ქუჩაზე, სადაც მას ჰყავს მდგმურები, რკინის გზის მოსამსახურენი.

ამ უკანასკნელებს მოქ. ადიკაშვილი აუტანელ მდგომარეობაში აყენებს. თითქმის ყოველ დღე ლანძღავს და ცემა-ტყეპით ემუქრება მუშა-მდგმურებს. მოქ. ადიკაშვილს ყველაფერ ამაში ხელს უწყობს აქა მდგომი ექ. გრ. სამხარაძე. მოვითხოვ ამ ვაჟბატონების ალაგმას.

მუშა კოჟუხი.

გამოგზავნილი წერილებიდან

ვაშა ასეთ მუშას

თებერვლის 12-ს ხრესილიდან გელათამდის (საყანჩიასთან) რკ. გზ. ლიანდაგზე ზვავი ჩამოსულიყო, რომელიც შემთხვევით შეამჩნია შინ მიმავალ ამხ. ბაგრატ გვეტაძეს (ლიანდაგის მუშა). მან შეატყობინა გზის დარაჯს მატარებლის გასაფრთხილებლად, თვითონ კი მოუწოდა საყანჩიის კარიერის მუშებს მოხმარებოდენ ზვავის გაწმენდაში. მუშები ამას გულგრილად მოექცნენ და ამხ. ბ. გვეტაძეს მარტო მოუხდა ზვავის გაწმენდა.

15 წუთის მატარებლის გაჩერების შემდეგ მისი ცდით გზა გაიწმინდა.

მადლობა ასეთ ღირსეულ მუშას!

მუშკორი კოსტაიძი ლადი.

ტყიბულის მაღაროებში

(„ჩემოხ“ საყურადღებოდ)

ტყ. ახალი მაღაროს სატვირთო-სადგური ძალიან ცუდათ არის მოწყობილი, რკ. გზ. ლიანდაგი წყალში არ მოსჩანს და ამისთანა პირობებში უხდება მუშას მუშაობა. ეს წყალი ფვით ლიანდაგსაც მოუტანს დიდ ზარალს. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

მუშკორი ეკალ-ვარდი.

გთხოვთ გვაცნობოთ

(მილიციის მთავ. სამმართველოს საყურადღებოდ)

1924 წ. მარიამობისთვის 16-დან დაიკარგა გორის მაზრ. სოფ. ნოსტეს მცხოვრები ილია ანდრ. ქარქუზაშვილი, კომკავშირელი, (დღიური მუშა). გთხოვთ გაზეთის საშუალებით მოგვაწოდოთ ცნობა მის სიკვდილის ან სიცოცხლის შესახებ „ზაჰესის“ მუშკომში.

მისი გარეგნობა: 22 წლის, საშუალო ტანის, შავ-თმა-თვალ-წარბი, ბეჭებში ცოტა მოხრილი.

ზაჰესის მუშა კ. კერესელიძე.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

სამხრეთ ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის საოლქო საარჩევნო კომისია იტყობინება, რომ იქ საბჭოთა არჩევნები დაიწყო 5 მარტიდან.

— **არჩევნების მიმდინარეობა.** სამხრეთ-ოსეთის ყველა თემებში საარჩევნო კომისიის ცნობით არჩევნები იწვევენ ხალხში დიდ ინტერესს.

— **ბელოცკის თემში.** ბელოცკის თემში უკვე აირჩიეს სათემო საბჭო, რომელშიაც შედის 27 წევრი. მათ შორის 7 კომუნისტი და 2 ქალი.

ოზურგეთის მაზრაში

— **ზემო ხეთის თემში** სათემო საბჭოში აირჩიეს 16 დეპუტატი. მათ შორის 8 კომუნისტი და 3 ქალი.

— **ოზურგეთში.** ოზურგეთის საქალაქო საბჭოში აირჩიეს 65 დეპუტატი. აქედან 37 კომუნისტია და 3 ქალი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებით 13 მარტს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემდეგი დარები იდგა:

ფოთი. ზღვაზე მსუბუქი ღელვაა. ცა მოღრუბლულია, ტემპერატურა 9 გრადუსი. ღამით სწვიმდა.

ქუთაისი. უწყნარი ამინდი, ცა მოღრუბლული, წინა ღამით სწვიმდა. ტემპერატურა 9 გრადუსი.

გორი. მოღრუბლული დარი. ქრის დასავლეთის სუსტი ქარი, სითბო 7 გრადუსი.

ბაქო. ზღვაზე სიწყნარეა. მშრალი ნისლი, სითბო 7 გრადუსი.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით.

ფოთი	ცელსიუსით	სითბო	9 გრად.
ქუთაისი	„	„	9 გრად.
გორი	„	„	7 გრად.
ბაქო	„	„	7 გრად.

საქართველოს მეაბრეშუმეთა ამხ-ბა „აბრეშუმი“

ქუთაისის მაზრის საბჭოების მესამე ყრილობამ მოისმინა მოხსენება ამხ. კ. ჩხენკელისა სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა ამხანაგობის „აბრეშუმის“ დაარსების შესახებ და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: ყრილობა სავსებით იზიარებს მეაბრეშუმეთა ამხანაგობის დაარსების აზრს, ესალმება მის მიზანს და დანიშნულებას და აღუთქვამს მას სრულ დახმარებას.

ამავე დროს ყრილობა ავალებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს მიმართოს მთავრობას თხოვნით, რათა მან დაავალოს წასულ წელს პარკის დამგროვებელ ორგანიზაციას—ცეკავშირს გაუსწოროს ანგარიშები მეაბრეშუმეთ 1924 წ. ჩაბარებულ პარკისა, იმ ავანსის გამოკლებით, რომელიც მეაბრეშუმეთ აქეთ მიღებული.

ყრილობა საჭიროთ სცნობს გლეხებისათვის პარკში მისაცემ ფულის მაგიერ მიაწოდონ მათ იაფი ფართლეულობა.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე 5 ყრილობა

10 მარტის საღამოს სხდომა

მეშვიდე სხდომა გაიხსნა 10 მარტს, საღამოს 7 ნახ. საათზე ამხ. კაცაძის თავმჯდომარეობით.

სხდომის დასაწყისში მოსმენილ იქნა ამხ. ელერდაშვილის განცხადება ბანკების თათბირზე გასაგზავნად ყრილობის მიერ დელეგაციის არჩევის შესახებ. დელეგაციაში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. ნოდია, შ. ჩხეიძე და ელერდაშვილი.

ამხ. ცაგარელის მოხსენების გამო სხდომამ დაადგინა სპეციალურ კომისიას დაევალოს რეზოლიუციის წარმოდგენა გეგმასა და ხარჯთ-აღრიცხვაზე.

ცეკავშირის წესდება

ყრილობა შეუდგა დღიურ წესრიგის მეორე საკითხის განხილვას: მოსმენილ იქნა ამხ. კანდელაკის მოხსენება ცეკავშირის წესდების პროექტზე და ამასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებზე. წესდების პროექტი შეფარდებულია უკანასკნელი ხანის კოოპერატიულ კანონებთან. ფართო კამათი გაიმართა ცეკავშირის სახელწოდების გარშემო. ახალი პროექტით ცეკავშირის ნაცვლად წინანდელ სახელისა „საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი ეძლევა“ ახალი სახელწოდება „საქართველოს მომხმარებელ ორგანიზაციათა ცენტრალური კოოპერატიული კავშირი“ (შემოკლებულად „ცეკავშირი“).

კამათის დასასრულ წარმოდგენილ პროექტები წესდებისა, ცეკავშირის საბჭოს დებულებისა და მუშათა კოოპერაციის სექციისა მიღებულ იქნა.

ამხ. კანდელაკის მოხსენებით ყრილობამ დაადასტურა ცენტროსოიუზში (როგორც სრულიად საკავშირო კოოპერატიულ ცენტრში) წევრად შესვლა.

დიდი კამათი გამოიწვია „ზაკსოიუზში“ წევრობის საკითხმა. დელეგატები ადგილებიდან აღნიშნავდენ, რომ ამიერ-კავკას. კოოპერატიული კავშირი (ზაკსოიუზი) სცდილობს განავითაროს სასაწყობო ოპერაციები და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისი დაარსების დროს ხაზგასმით იყო აღნიშნული ამ კავშირისათვის ასეთი ფუნქციების არ მინიჭება.

სხდომამ დაადასტურა ცეკავშირის „ზაკსოიუზში“ წევრად ყოფნა, მაგრამ ამავე დროს დაავალა ცეკავშირის საბჭოს განიხილოს „ზაკსოიუზის“ წესდება, მიიღოს ზომები, რათა ამ წესდებაში შეტანილ იქნეს საქართველოს კოოპერაციის ინტერესების შესაფერისი ცვლილებები.

დასასრულ მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც უკან დაუბრუნდა კომისიას დამატებითი ცნობების წარმოსადგენად.

ამით მეშვიდე სხდომა შეწყდა ღამის 10 საათზე.

დამსწრე.

ზემო-ავჭალის სადგურის აგების ხარჯები

მოსკოვი. 13 მარტი. შრომის და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე მოსმენილი იქნა იმ კომისიის მოხსენება, რომელმაც შრომის და თავდაცვის საბჭოს დავალებით დაათვალიერა ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის ასაგებათ წარმოებული მუშაობა. კომისიამ მთელი რიგი შესწორებები შეიტანა ა | კ. ს. ფ. ს. რ. ორგანოების მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვაში.

შრომის და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ სადგური 6.900.000 მანეთის მაგივრათ, როგორც ეს გამოანგარიშებული იყო ა | კ. ს. ფ. ს. რ. ორგანოების მიერ გამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვაში, დაჯდება 10.675.000 მანეთი. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაამტკიცა შემდეგი გეგმა: 800.000 მანეთი უნდა გადადვას თბილისის აღმასკომმა, 150.000 მანეთი რ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ სამარაგო ფონდის ხარჯზე, 950.000 მანეთი გადადებული უნდა იქნეს ჭიათურის შავი ქვის მრეწველობის მოგებიდან, 2.400.000 მანეთი კი შეტანილია საკავშირო ბიუჯეტში. შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით, ამ უკანასკნელი თანხით შეწყდება ფინანსების მიწოდება სადგურის აგებისათვის საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე. შრომის და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ყველა დანაკლისი თანხები დაფარული იქნეს ორი წლის განმავლობაში.

სადგურის აგების დამთავრების ვადათ შრომის და თავდაცვის საბჭომ დააწესა 1926 წლის პირველი ოქტომბერი—იმ ანგარიშით, რომ მომავალი წლის მაისში უნდა დაიწყოს ელექტრო-ნაკადის წინასწარი მიწოდება.

ქრონიკა

— **თბილისის აღმასკომმა** დაადგინა აღმასკომის პრეზიდიუმთან დაარსებული იქნას საუწყებო აღრიცხვის დარგი.

— **ქალაქის მცხოვრებთათვის** წყლის ფულის შემოტანის გასაადვილებლად ქალაქის მეორე ნაწილში თბ. აღმასკომის დადგენილებით გახსნილ იქნება წყლის ფულის საგადასახადო მთავარ განყოფილ. ფილიალი.

— **ტრამვაის, ემსის, წყალსადენის** და სასაკლაოს თვითეულ წარმოებებში თბ. აღმასკომის დადგენილებით დაწესებული იქნა სტატისტიკოსის თანამდებობა.

— **ქ. ლომბარდის** სააქციონერო საზოგადოებათ გარდასაქმნელათ, თბ. აღმასკომმა შეადგინა კომისია ამხ. ამხ. მესხის, თულაევის, სტეფანოვის, ცვაშელის და ქაცარავას შემადგენლობით.

— **მცხეთის აღმასკომისა და მილიციის** შენობების შესაკეთებლათ თბ. აღმასკომმა გადასდო 2490 მან.

— **მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა** გერმანიაში გასანაღდებლათ გაგზავნა 70 კილო წიფლის თესლი.

— **ტყის დასაცავათ.** დღეს, დღის 10 საათზე მიწ.-მოქ. კომისარ. სატყეო განყოფილებაში შესდგება კრება ტყის დაცვის კვირეულის მოწყობის შესახებ.

— **შრომის კოლექტივები.** ამ ჟამად თბილისში ითვლება 18 მომქმედი შრომის კოლექტივი.

— **ვერის ღალმართზე.** ამ დღეებში შრომის კოლექტივების გამგეობა ხსნის მეორე საზოგადო სამრეცხაოს.

— **დაზღვეულთა რიცხვი.** თებერვლის პირველ რიცხვებისათვის თბ. დამზღვევ სალაროს აღრიცხვაზე ჰყავდა 35,864 დაზღვეული მუშა-მოსამსახურე.

— **ხანძართან საბრძოლველათ.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა გადასდო 1000 მან.

— **სამხედრო კოოპერაცია.** 28 მარტს თბილისში გაიხსნება საქ. სამხედრო კოოპერატივის „ევკოგრუზ“-ის რწმუნებულთა ყრილობა.

— **სრ. საქ. გლეხკომების ყრილობა.** გლეხკომების ცენტრ. ბიუროს განზრახვა აქვს აპრილის შუა რიცხვებში მოიწვიოს სრ. საქ. გლეხკომების ყრილობა.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, მარტს 14-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიებში (კალოუბნის ქუჩა, № 1), მოხდება „საზოგადოების“ წლიური კრება. კრების საგანია: 1) ივანე ჯავახიშვილის მოხსენება—„საქართველოს და კავკასიის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები მე-12 საუკუნემდე“, 2) „საზოგადოების“ მოქმედებისა და შემოსავალ გასავლის ანგარიშები 1924 წლისა, 3) სავარაუდო ხარჯ-აღრიცხვა 1925 წლისათვის, 4) სარევიზიო კომისიის მოხსენება და 5) ახალ წევრთა არჩევა. კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიანთ.

— **ტრამვაის გზის ზოდები.** ტრამვაის დირექციამ რუსეთის ქარხნებს შეუკვეთა ტრამვაის გზისათვის ზოდების დამზადება.

— **ტრამვაის ახალი რონოდები.** ტრამვაის სახელოსნომ გამოუშვა სამუშაოთ ტრამვაის 4 ახალი რონოდა.

— **რამდენი წყალი დახარჯა ქალაქმა.** თებერვალში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 30 მილიონზე მეტი ვედრო წყალი.

— **სასოფლო-სამეურნეო განათლება.** ამ ჟამად საქართველოში ირიცხება 7 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი. ერთი მათგან თბილისშია, დანარჩენი მაზრებში.

— **ფ.-ტელეგრაფის** კომისარიატი შეუდგა ტელეგრაფის მავთულების შეკეთებას.

— **ექიმების რიცხვი.** საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის განკარგულებაში 1 მარტისათვის ითვლებოდა 1011 ექიმი.

— **ამბულატორიები.** ამ ჟამად საქართველოს სხვა და სხვა ადგილას მოქმედობს 117 ამბულატორია.

— **დახმარება დაზღვეულებს.** თბ. დამზღვევმა კასამ თებერვალში დაზღვეულ უმუშევრებზე სხვადასხვა დახმარების სახით გასცა 191,896 მან.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** მოსკოვიდან—სტეკლოვს, კალაჩიდან—მანჟოსოვს, ბაშანტიდან—ამურსანატს, სამტრედიიდან—გოცირიძეს, ახალქალაქიდან—ხუხუნის, ბაქოდან—გუსეინოვს, ქუთაისიდან—ბარათაშვილს, პერუდან—კასკაიას, ერევნიდან—ანუმიანს, ალავერდიდან—ლაზარევს, როსტოვ-დონიდან—მიქელაძეს, უსტალაბიდან—კამენსკოის, შულავერიდან—ექიმ ტერ-აკოპოვს, როსტოვ-დონიდან—რადლისს, ლენინგრადიდან—ბადაევს.

ხელოვნება

ვ. ვიქტოროვის გასტროლები.

„ურიის ქალი“.

ყოველ გამოჩენილ მომღერალის შესრულებაში აღსანიშნავია ორი მხარე: ერთი გარეგნული მხარე—ხმა და მეორე—სიმღერის უნარიანობა და მისწრაფება მხატვრული შემოქმედებისაკენ.

თუ გასტროლიორ ვიქტოროვის ნიჭს შევაფასებთ გარეგნული მხრიდან,—უნდა ითქვას, რომ მომღერალს იშვიათი ხმა აქვს არა მარტო დიაპაზონის სიფართოვის მხრივ (ბარიტონალური ნოტები ქვედა რეგისტრში და ტენორის საზღვრობითი ნოტები მაღალ რეგისტრში), არამედ ხმოვანებისა და სიღრმის მხრივაც; ამ მხრივ მსახიობი აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნილებებს.

მაგრამ შესრულების მხრივ მომღერალი ვერ აკმაყოფილებს სერიოზული კრიტიკის მოთხოვნილებებს. მის ხმაში ცოტაა გრძნობა, გულწრფელობა, დინამიური სურათები და ხმა ვერ არის საკმაოთ მოქნილი. საჭირო არ არის ხმის ფარსიროვკა ებრაელთა პასკის კურთხევის სცენაში. ყველაფერი ეს ხომ საიდუმლოთ ხდება იმის გამო, რომ ებრაელებს არავითარი უფლებები არ ჰქონდათ საშუალო საუკუნოებში.

ცნობილი არია „Рахиль ты мне дана“ მსახიობმა ტემპერამენტით და გრძნობით შეასრულა, მაგრამ საჭირო არ იყო ამ არიის გამეორება, ეს არღვევს შთაბეჭდილების მთლიანობას.

სცენიური გადმოცემა მოფიქრებულია, მაგრამ პარტიის დრამატიულ მხარის შესრულებას არ ახასიათებს მსახიობის მკაფიოთ გამოხატული ინდივიდუალობა.

კარგათ მღერის დე-ბრონის პარტიას ისეცკი, მხოლოდ პირველი აქტის არიაში საჭიროა მეტი კანტილენა. კარგათ შეასრულა პრინც ლეოპოლდის ძნელი არია ჟულაგინმა.

რახილის პარტიაში ექსპრომტათ გამოვიდა მსახიობი ქალი სტრახოვა (სტოლერმანი). მომღერალის მუსიკალობამ, მისმა ლამაზმა ხმამ და საუცხოვო სკოლამ საშუალება მისცა მას კარგათ შეესრულებია ეს ძნელი არია.

ლამაზათ და გატაცებით ცეკვავენ ტარანტელას სერგეევი და ჭაბუკიანი.

პ. ბ.

— **საიათნოვას ნაწარმოებთა საღამო.** კვირას „აიარტუნში“ (აბას-აბადის მოედანი) შესდგება საიათნოვას ნაწარმოებთა საღამო ქართულ, თურქულ და სომხურ ენებზე.

საღამოს მიზანია ამ გენიალური სახალხო მგოსნის გაცნობა საზოგადოებასთან.

საღამოში მონაწილეობას იღებენ ი. გრიშაშვილი, გუსეინ-ხან, ოჰანეზაშვილი, კოტოიან, შახპატიან და სხვ.

— **მოცეკვავე ქალის ლეონოვას საღამო.** დღეს სახ. ოპერის თეატრში გაიმართება მოცეკვავე ქალის ლეონოვას საღამო საინტერესო პროგრამით.

— **ი. დამინსკაიას გასტროლი.** ახლო ხანში ახალ თეატრში დაიწყება მოსკოვის, ლენინგრადის და უკრაინის სახ. თეატრების მსახიობ ი. დამინსკაიას გასტროლები—სამუსიკო საღამოები.

— **ნინო ვალაცცის** კონცერტი გაიმართება სახ. კონსერვატორიაში ორშაბათს, 16 მარტს.

— **ცირკი**—ფრანგული ჭიდაობა მსოფლიოში სახელგანთქმულ მოჭიდავეთა მონაწილეობით.

— **სამხატვრო გამოფენა.** სომეხ ხელოვანთა სახლში „აიარტუნ“-ში 15 მარტს გაიხსნება სომეხ მხატვართა ნახატების გამოფენა.

დღეს კინოებში

— მინიონი და სოლეი—„გული და დოლარი“.

— არფასტო—„ფოლადის წეროები“.

— აპოლო—„წითელი ეშმაკუნები“ ახალი მონტაჟით.

— თაზის—„იყუჩე მწუხარებავ, იყუჩე“.

— აისი—„დაისი დამასკში“.

ანდრია ყარაშვილი

12 მარტს, დილის 12 საათზე გარდაიცვალა გულის ავადმყოფობისაგან ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი.

განსვენებული დაიბადა თბილისში 1857 წ. 30 ნოემბერს. სწავლობდა პირველ გიმნაზიაში, საიდანაც გამოვიდა და გაემგზავრა სტამბოლში, სადაც განაგრძო სწავლა. 1875 წელს დაბრუნდა თბილისში და იმავე წლის ბოლოში გაემგზავრა პეტერბურგში კონსერვატორიაში სწავლის გასაგრძელებლად. კონსერვატორიაში მან დაჰყო 6 წელიწადი, რის შემდეგაც ის იძულებული იყო პოლიტიკური გარემოებათა გამო შეეწყვიტა სწავლა და გამგზავრებულიყო ვარშავაში. იქ ის შევიდა ვარშავის სამუსიკო ინსტიტუტში და დაასრულა სწავლა ვიოლინოს კლასში პროფესორ ისიდორე ლოტტოსთან.

ვარშავაში, როგორც სოლისტი, რამდენჯერმე გამოვიდა სცენაზე. 1895 წელს ჩამოვიდა თბილისში. ერთ წელზე მეტი განაგებდა ქართულ დრამატიულ საზოგადოების გუნდს, ხოლო 1897 წლიდან შედის ყოფილ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში სკრიპკაზე დაკვრის მასწავლებლად. გიმნაზიაში დაჰყო 25 წელიწადი. გარდა ამისა მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოფილ ქართულ ფილარმონიის საზოგადოების დაარსებაში და ამ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში ასწავლის სკრიპკაზე დაკვრას.

აი იმ უაღრესად თავაზიან ადამიანის მოკლე ბიოგრაფია, რომელსაც არც ერთი სიტყვა არ უთქვამს არავისთვის თავის უკიდურეს გაჭირვებაზე.

ილაჯ-გაწყვეტილი, დაქანცული, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ის აძლევდა გაკვეთილებს, რათა როგორმე ერჩინა თავისი ოჯახი, რადგან 25 მანეთი პენსია, მას, რა თქმა უნდა არ ჰყოფნიდა.

როგორც კომპოზიტორზე, მასზე დიდხანს არ შევჩერდებით. საკმარისია მოვიგონოთ მისი ნაწარმოები „სამშობლო, სამშობლო, ჩემო ლამაზო“, რომ ვსთქვათ თუ როგორი პოპულიარობით სარგებლობდა და სარგებლობს ის.

მის ადგილზე რომ სხვა ვინმე ყოფილიყო, შეეძლო მოეპოვებია კარიერა, მაგრამ ყარაშვილისათვის კარიერიზმი სრულიად უცხო იყო და იგი არ შეეფერებოდა მის თავაზიან და ნაზ ბუნებას.

სხვა ნაწარმოებიდან ძალიან პოპულიარულათ ითვლება რომანსი: „დავრდომილი სნეული“, რომელსაც ასრულებენ თითქმის ყოველ კონცერტზე. რაც შეეხება მის ნაწარმოებებს სკრიპკისათვის ამ მხრივ, ის წარმოადგენს ერთად-ერთ კომპოზიტორს საქართველოში.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეუდგებით მის ნაწარმოების შეფასებას, თავის დროზე მას მიუდგომელი ისტორია დააფასებს. ჩვენ, როგორც მისი ცხოვრების მოწმეთ, შეგვიძლია ვსთქვათ, ძალიან ძნელი იყო მისთვის მუშაობა, განსაკუთრებით მოხუცებულობის ჟამს. სიცოცხლე მისი მეტად მძიმე იყო, ვუსურვოთ, რათა მსუბუქი იყოს მისთვის მიწაი, სამწუხაროთ, ჩვენი სურვილი?

დ. არაყიშვილი.

საბჭოთა სასამართლო

ყაჩაღის შენახვისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ჩანგიშვილის თავმჯდომარეობით, სახ. მსაჯულების: მაჩურაშვილის, ბედოევის, პროკურ. თან.—ბარამიძის მონაწილეობით გაარჩია საქმე ნიკ. შოშიაშვილის, რომელსაც ბრალად ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 76 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული დანაშაული (ბოროტმოქმედის შენახვა, მისთვის ხელის შეწყობა).

საქმე შემდეგში მდგომარეობს: 1924 წ. 28 იანვარს სართიჭალის ინფორპუნქტიდან თბილისში ყაჩაღთა ერთი ჯგუფის გამოგზავნის დროს გზაში გაიქცა ერთი ცნობილი ყაჩაღი გ. ვანიშვილი. ვანიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ გაქცევის დროს დაჭრილ იქნა, ახერხებს თბილისში ჩამოსვლას და აქ კი თავს აფარებს ნიკ. შოშიაშვილის ოჯახს. შოშიაშვილი ყოველგვარ მფარველობას უწევს მას, თვალის ჩინივით უვლის, წამლობს როგორც კი ადმინისტრაციის მოსამსახურეს შეამჩნევს ახლომახლო, მაშინვე გადამალავს. მაგალითად, როგორც კი შეამჩნია, რომ ადმინისტრაცია რაღაც განსაკუთრებით „ყურადღებას აქცევდა მის ოჯახს“, მან თავისი „სტუმარი“ გადაიყვანა დიდუბისაკენ და შემდეგ იქიდანაც გააპარა.

სასამართლომ მოწმეების დაკითხვის და მხარეების კამათის შემდეგ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და ბრალდებულ შოშიაშვილს 76 მუხლის ძალით მიუსაჯა 2 წლით დაპატიმრება გამასწორებელ სახლში, თავისუფლების აკვეცით, სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით.

მოქ. სოლოვეიჩიკის მოკვლის გამო

11 მარტს საღამოთი ა | კ. ფინსახკომის თანამშრომელმა ავაქოვმა მოჰკლა იმავე კომისარიატის თანამშრომელი სოლოვეიჩიკი.

ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიამ გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს ამ მკვლელობის ყველა მიზეზები.

ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის დადგენილება ავაქოვის მოქმედების შესახებ გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

შემთხვევები

— **უბედური შემთხვევა.** 13 მარტს, დილის 6 საათზე, ბზის მოედანზე გადაბრუნდა თივით დატვირთული ურემი, რომლის ქვეშ მოჰყვა სეფარ ამიდ ოღლი და დაშავდა მძიმედ, ის მოთავსებული იქნა ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

— **12 მარტს**, საღამოს „ველოდრომ“-ზე მოტოციკლეტების შეჯიბრების დროს არშავირ ავაქოვი დაეჯახა იქვე მაყურებელ მნაცაკან მისარიანცს, რომელსაც დაუშავა ფეხები.

— **ქურდის შეპყრობა.** რამოდენიმე დღის წინად ქსენიევის ქ. გაქურდული იქნა ცენტრალური თვალის სამკურნალო, საიდანაც წაღებული იქნა მიკროსკოპი და საწერი მანქანა. მიღებული ზომებით ქურდი შეპყრობილი იქნა და აღმოჩნდა ყოფილი დარაჯი კახეთელიძე.

— **12 მარტს**, ვლადიმირ ლატარიამ განაცხადა, რომ გაქურდული იქნა მისი ბინა, საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები. ლატარიამ განაცხადა რომ ქურდობა ჩაიდინა მისმა ცოლმა.

— **ქურდობა.** 11 მარტს, ღამით, ხრებტოვის ქ. № 245, გაქურდული იქნა მიხეილ ჩაჩაკის ბინა.

— **12 მარტს**, ვარდისუბნის ქ., № 3-ში, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა ა. ბალაჯარიშვილის ბინა.

— **12 მარტს**, დღის 1 საათზე, მე-2-რე სამხატვრო სკოლაში, კურსანტს ივანე გოლუბევს ოთახიდან ძილის დროს მოჰპარეს სხვადასხვა ნივთები.

— **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის 18 თებერვლის ნომერში შემთხვევებში მოთავსებული იყო ცნობა, რომ 16 თებერვალს გაქურდული იქნა ნინო შავიშვილის ბინა და ეჭვით დაპატიმრებულია გიორგი შეწირული. ნამდვილად კი დაპატიმრებული იყო გიორგი იოსების ძე მიწირული, მცხოვრები სარეცხის ქ. № 42-ში.

პროვინციაში

გორის თემის ამბების გამოსარკვევად

12 მარტს „კომუნისტში“ მოთავსებული წერილის „ჩვენი სოფლის ჭირ-ვარამის“ გამო სოც. უზ. სახ. კომისარიატი გვაცნობებს, რომ ადგილობრივათ საქმის გამოსაძიებლათ მან გორის მაზრაში გაგზავნა ინსპექტორი გვანცალაძე.

სოფ. წიწამური

(თბილისის მაზრა)

სოფ. წიწამური თბილისიდან მდებარეობს დაახლოვებით 22 ვერსის მანძილზე და ადმინისტრატიულათ ის უერთდება მცხეთის თემს.

სოფ. წიწამურში მცხოვრებთა რიცხვი უდრის 17 კომლს. ეს სოფელი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია, აქ არ არსებობს სკოლა და არც ქოხ-სამკითხველო, რის გამო აქაური ახალგაზრდები რჩებიან უსწავლელი და ცხოვრებაში ჩამორჩენილი.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მცხეთის თემის საბჭომ და თავის მორიგ სხდომაზე დასვა კითხვა წიწამურში სკოლისა და ქოხ-სამკითხველოს გახსნის შესახებ.

ამის შესახებ საბჭომ აღძრა შუამდგომლობა თბილისის აღმასკომთან, რათა წიწამურში გახსნას ქოხ-სამკითხველო და ჯერ-ჯერობით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

გ. ნადარეიშვილი.

სოფ. ხაბუმეს თემი

(ზუგდიდის მაზრა)

ხაბუმეს თემი დაშორებულია სამაზრო ქალაქიდან 30 ვერსის მანძილზე. ამ თემს ჩხოროწყუს უბანში პირველი ადგილი უჭირავს კულტურული მხრივ, მცხოვრებთა უმრავლესობა მხვნელ-მთესველია. მოყავთ სიმინდი, ბამბა, თამბაქო და ნარინჯოვანი მცენარეები.

ამ თემის მეურნეობას, აღმშენებლობითი მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში.

ომიანობის ხანაში დანგრეული ხიდები და გაფუჭებული გზები კეთდება. ზოგ ადგილას ახალია გაკეთებული და გაყვანილი.

თემში არსებობს საბჭოთა აფთიაქი, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება და სხვა კულტურული დაწესებულებანი.

ამ თემში არსებობს 7 წლედი და თემში შემავალ პატარა სოფლებში 4 წლედები. 1923 წელს ამ თემში გახსნილ იქნა 9 წლედი, სადაც თავს იყრის ჩხოროწყუს და წალენჯიხის მოსწავლე ახალგაზრდობა. ცხრა წლედში 300 მოწაფეა. მერვე და მეცხრე ჯგუფი გაყოფილია პარალელებად. კოოპერაციის მუშაობა ძალიან სუსტად მიმდინარეობს, რის გამო გლეხობის ნაწარმოებს ფასი არა აქვს. კერძო ვაჭრები ტყავს აძრობენ მშრომელ გლეხკაცობას.

გლეხი ინგურელი.

პროვინციის ქრონიკა

— **სესხი ღარიბებს გლეხებს.** დუშეთის საკრედიტო ამხანაგობამ საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან მიიღო 3,000 მან. ღარიბეს გლეხებისათვის სესხის სახით დასარიგებლათ.

— **ლიუქსემბურგის** აღმასკომი სოფ. გიაურ-არხში ახლო ხანში გახსნის სასოფლო-სამეურნეო სკოლას.

— **თელავის** სამაზრო ყრილობამ დაადგინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ველისციხიდან გადაიტანოს მუკუზანში როგორც უფრო დასამხარ ადგილას.

— **წ. | კ. უცოდინარობასთან** ბრძოლის საქმე თელავის მაზრაში წარმატებით სწარმოებს. გლეხები დიდი ხალისით ბეჯითობენ.

— **ქალთა საერთაშორისო დღე** სიღნაღში ჩატარდა დიდი ზეიმით. ამ დღის აღსანიშნავათ სიღნაღში გაიხსნა სამშობიარო პუნქტი, ხოლო სოფ. ანაგაში საბავშვო ბაღი.

— **ხანძარი.** ველისციხის ტყეს 10 მარტს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდება. მიღებულია ზომები ხანძარის ჩასაქრობათ.

— **ტყეების დაცვის მიზნით.** გორის აღმასკომმა დაავალა ყველა სათემო აღმასკომებს, რომ მათ მიიღონ ზომები ტყეების მოვლა-პატრონობისათვის.

— **ოზურგეთის** გლეხკომების კონფერენციამ დაადგინა აღმოუჩინოს დახმარება ღარიბ-გაჭირვებულთ და ჯარში გაწვეულთა ოჯახებს.

— **გზების შეკეთება.** სოფ. ნიკორწმინდის (რაჭა) გლეხებმა დაადგინეს შეაკეთონ ადგილობრივი სასოფლო გზები საკუთარი ძალებით.

— **აბაშის ჰიდრო ელსადგურის** ასაშენებლათ ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

რკინისგზელ მუშკორების საყურადღებოდ!

დღეს, ორშაბათს 16 მარტს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში (პლეხანოვის № 123) მუშკორთა კუთხეში შესდგება რკინისგზელ მუშკორთა საერთო კრება. კრებას დაესწრება გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და ა.-კ. რკინისგზათა სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. ივანოვი.

დღის წესრიგშია ერთი საკითხი: საუბარი ამხ. ივანოვთან.

ვთხოვთ ყველა მუშკორებს დაესწრონ კრებას და ნუ დაიგვიანებენ.

თბილისის მუშკორთა ბიურო.

კვირას, 15 მარტს, დილის 9 საათზე, მეექვსე ტერიტორიალური ლეგიონის შენობაში დანიშნულია მეექვსე ლეგიონში მყოფ პარტიის წევრების და კანდიდატების საერთო კრება და ამიტომ საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას იძლევა გამოცხადდნენ ქვემოდ დასახელებული ამხანაგები:

1) ჯაგოევი ვლადიმერ ივანეს ძე, 2) ნინუაშვილი მიხეილ გაბრიელის ძე, 3) ჩოხონელიძე სიმონ პეტრეს ძე, 4) მილიონი ისაკი დავითის ძე, 5) გულითაშვილი არჩილ მიხეილის ძე, 6) ასლამაზოვი კარაპეტ ბაგრატის ძე, 7) რაზანბოევი სადიკ სეიფულის ძე, 8) მიქელოვი არტაშ გიორგის ძე, 9) ყუბაშვილი მიხეილ იოსების ძე, 10) მატეოსიანცი სამუელ ავეტიკის ძე, 11) ანანიანცი ნიკოლოზ ამბარცუმის ძე, 12) გრიგოლია პლატონ ალექსის ძე, 13) კოგაშვილი გრიგოლი ანდრიას ძე, 14) უმიკაშვილი გიორგი ანდრიას ძე, 15) გაგლოევი დიმიტრე როსტომის ძე, 16) მეშველიანი ლავრენტი სავის ძე, 17) დავიდოვი მიხეილ გაბრიელის ძე, 18) ბადრიძე ნიკოლოზ გიორგის ძე, 19) მორცაძე სერგო მიხეილის ძე, 20) გაპიშაშვილი გრიგოლ მიხეილის ძე, 21) გრიგორიანცი ბეგ ნიკოლოზის ძე, 22) კუროიანცი ოვანეს ნიკოლოზის ძე, 23) ვართაპეტოვი ვართან რომანის ძე, 24) სუხაშვილი ანდრო მიხეილის ძე, 25) ბუზარიშვილი გიორგი ლევანტის ძე, 26) მანველიანცი ვაგან ტიგრანის ძე, 27) სტეპანოვი მიხეილ სერგოს ძე, 28) აროშკინი პეტრე ანდრიას ძე, 29) კვიკიძე დავით აქსენტის ძე, 30) სერგეევი პავლე პეტრეს ძე, 31) ჭიჭინაძე ალექსანდრე რუბენის ძე, 32) ჯიბლაშვილი დავითი ექვთიმეს ძე, 33) ბარხუდაროვი ალექსანდრე ბალდასარის ძე, 34) გებონია მიხეილ კონსტანტინეს ძე, 35) ვართანიანცი ისაკ აბრამის ძე, 26) ცარევსკი პროკოფი მიხეილის ძე, 37) მურადოვი ვარდენ არსენის ძე, 38) ტარჩიანი არტაშ ალექ.—ძე, 39) ტატუსოვი არტაშ, 40) ალლაძე თედორე, 41) ალმურიშვილი ნიკოლოზ, 42) დუაშვილი ჩინკარი, 43) ბინკანაშვილი ალექსანდრე, 44) კეშიკაშვილი ივანე მათეს ძე, 45) ზომუკაშვილი სერგო პეტრეს ძე 46) კოკაშვილი გაბრიელ პეტრეს ძე.

კანდიდატები:

1. აბაზაშვილი მესროპ ოგანეზის ძე, 2. ქებაძე ილარიონ სიმონის ძე, 3. ოთიაშვილი ნიკოლოზ აბრამის ძე, 4. კაკაურიძე ბარნაბ ივტახის ძე, 5. ივანიშვილი ნიკოლოზ დავითის ძე, 6. ამიან მაიკ აკოპის ძე, 7. ბილენოვი იაკობ ანტონის ძე, 8. ტატუნაშვილი ანტონ ბესარიონის ძე, 9. ნიკოგოსოვი სერგო ილიას ძე, 10. კოსტიშენკო ნიკოლოზ ივანეს ძე, 11. მურადოვი მიკრტიჩ სარქისის ძე, 12. პრიდონოვი სურენ ვასილის ძე, 13. მურადოვი არსენ დანიელის ძე, 14. კუციანი ნოე გიორგის ძე, 15. მახარაძე ივანე ერმილეს ძე, 16. თევდორაძე შალვა ათანასის ძე, 17. სააქიანცი გარეგინ სიმონის ძე, 18. ედიგაროვი ოგანეს გრიგოლის ძე, 19. არუტინოვი ერვანდ სარქისის ძე, 20. დანიევი გიორგი სერგოს ძე, 21 მარკარიანცი ალექსანდრე ბაგრატის ძე, 22 ნაზაროვი არაქელა ნიკოლოზის ძე, 23. ტერ-სტეპანოვი ივანე სერგოს ძე, 24. სააკოვი ნაცვალ სერგოს ძე, 25. თოფურია გიორგი ანდრიას ძე, 26. პეტროვი დავითი ალექსანდრეს ძე, 27, კოტაშვილი სტეფანე ალექსანდრეს ძე, 28. ხიდურელი ალექსანდრე, 29. ფირცხალავა გიორგი მაქსიმის ძე, 30. ყიფშიძე დავით მაქსიმის ძე, 31. პოგოსიანცი ივანე სტეფანეს ძე, 32. სიხარულიძე გიორგი ილარიონის ძე, 33. მესლუ-სადის-ოღლი.

— სამშაბათს, 17 მარტს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე შესდგება **თბილისის კომიტეტის საგიტაციო კოლეგიის სხდომა.**

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება:

მდივანი, მთვარელიძე, ადამიანი, ოკუჯავა, დვორიანოვი, სანკულიანი, ადამიძე, ბუხნიკაშვილი, მხიტაროვი, სვანიძე, კიდაიშ, არუტიონოვ, მაჭავარიანი, იგნატოვი და რახმანი, სიმნაგულოვი, ლენდბერგ, პელიძე, ორახელაშვილი მარიამ, ნაზარეტიანი, მეტრეველი, ქიცარავა, კანდელაკი, შავერდოვი, ბახტაძე (ცეკა), კორძახია, წითლიძე, რუხაძე დენტოვი.

თბილისის კომიტეტის მდივანი ასრიბეკოვი.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი **იუწყება**, რომ შაბათს 14 მარტს საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში გაიმართება რაიონულ საშეფო ბიუროს სხდომა.

რაიშეფბიუროს წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი:

1. საალმშენებლო დარგის მუშათა, 2. სასურსათო ორგანოების, 3, სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატის 4. ქალაქის სასაკლაოების, 5. ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის საშეფო კომისიების ანგარიში.

— „რემედასის" არსენალის რაიონული საბჭო იუწყება, რომ შაბათს 14 მარტს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე მოწვეულია „რემედასის" სარაიონო საბჭო.

ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა:

1. ჯოხაძე—თვითმმრთმელთა კავშირი, 2. შელევი—სახერხავ ქარხნის უჯრედი, 3. გაიდანი—ელექტრონზე მომუშ. უჯრედი, 4. კატოლევსკაია—მე-3 საქარხნო კომიტეტის იაჩეიკა, 5. კლდიაშვილი—არსენალის უჯრედი, 6. მარკოზოვი—ახალგ. კომკავშირი.

ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დიიგვიანებენ.

„რემედასის" სარაიონო საბჭოს თავმჯდომარ—**მდივანი.**

— დღეს, 14 მარტს საღამოს 5 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება **დაწესებულებათა უჯრედების ბიუროების მდივნების და წევრების საერთო საქალაქო თათბირის გაგრძელება.**

სავალდებულოა კომპარტიის უჯრედთა ბიუროების მდივნების და წევრების, კომკავშირის უჯრედთა მდივნების, ადგილკომების მდივნების (კოოპერატივის წევრების) და ზოგიერთ დაწესებულებათა ადმინისტრატორების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი **სვანიძე.**

— დღეს 14 მარტს, დილის 10 საათზე, თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი **მიხ. კახიანი.**

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება აგიტწრეების მეცადინეობა ქართულ და რუსულ ენაზე. უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად ქალთა ორგანიზატორები და დელეგატი ქალები, რომლებიც შედიან აგიტწრეში.

— დღეს, შაბათს 14 მარტს, საათის 7-ზე დანიშნულია რემედასის ცეკას და ტეკას გაერთიანებული სხდომა, წევრებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ. (რუსთაველი 22).

რემედასის ცეკას მდივანი პ. სვანიძე.

— ს. კ. პ. ც. კ. საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება გაუქმებულათ აცხადებს დაკარგულ ერთიან პარტიულ ბილეთს № 496391, ამხ. ლავრენტი როსტომისძე ჩაკვეტაძის სახელზე გაცემულს.

— კვირას 15 მარტს, დილის 10 საათზე რკ. გზ. სამმართველოში დანიშნულია საგიტაციო ქართული წრის მეცადინეობა. ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებიც ჩაწერილი არიან ამ წრეში გამოცხადდენ დანიშნულ დროზე.

ლენინის ქალთა განყოფილების გამგე ლ. ბიბინეიშვილი.

პროფესიული

— 14 მარტს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის ქ. №-100, შესდგება საერთო საქალაქო კულტკონფერენცია შემდეგი ორგანიზაციების თანადასწრებით:—ყველა კავშირთა კულტგანყოფილებების გამგეების, კლუბების გამგეების და მათი გამგეობის წევრების, კულტკომისიის წევრების სხვადასხვა წრეების ხელმძღვანელების. ხსენებულ კონფერენციაზე გააკეთებს მოხსენებას სრ. საკავშ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი—კულტგანყოფილების გამგე—ამხ. სენიუშკინი. კულტმუშაობის ამოცანების შესახებ.

ს. პ. კ. ს. კულტგანყ. მდივანი თვალთვაძე.

განცხადებები

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე იულია კარლის ასული, ქალიშვილები: ანნა და მარია, დები: იულია და ელიზავეტა, სიძე ივანე სტეფანეს ძე ივანოვი და შვილიშვილები: ვალოდია და იუროჩკა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფას

ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილის

მოულოდნელ გარდაცვალებას, მარტის 12-ს. სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, მარტის 14-ს, საკუთარ ბინაზე, პრიუტის ქ. № 4. გამოსვენება კვირას, მარტის 15-ს, დილ. 11 ს.

ნ. 639 2—1

სრულიად საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირის მთავარი კომიტეტი და **ხელოვნების სახახლე** აცნობებს საზოგადოებას დამსახურებულ **კომპოზიტორის**

ანდრია ყარაშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღ. 6 საათზე, საკუთარ ბინაზე, პრიუტის ქ. № 4. გამოსვენება, კვირას დილ. 11 საათზე.

ნ. 639 2—1

მწუხარებით გულმოკლულნი შვილები: შურა, კოკოლა, პეტუშა და პატარაი ზურკო ამით აცნობებენ, ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ამ თვის 15, შუადღის პირველ საათზე, ვერის (წმ. ნიკოლოზის) სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი გარდაცვალების ერთი წლის შესრულების გამო მათი დაუვიწყარი და საყვარელი დედიკოს

მარო ონისიმეს ასული ცხომელიძე-მამულაიშვილისა

640 1—1

ქვრივი ანნა დიმიტრის ასული მიქაძისა, შვილები: ნინა, თამარა, ლიზა და კოსტა, ოლღა შიოს ასული და დომენტი ოტიას ძე ბენდუქიძე შვილებით და მარიამ დიმიტრის ასული ყარალაშვილისა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას, 15 მარტს, დილის 11 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილი იქნება საყვარელ

შიო პეტრეს ძე მიქაძის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დღის 1-ლ საათზე. 639 1—1

გულდათუთქულნი მამა ვლადიმერ გრიგოლის ძე, დები ვერა და ლუბა, ძმა ვალიკო კანდელაკები, სიძე ვასიკო კვინიკაძე შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, უდროოთ გარდაცვალებსა

იმედა (ნადეჟდა) ვლადიმერის ასული კანდელაკის,

რომლის გამოსვენება მოხდება ამა წლის კვირას, 15 მარტს, დილის 11 საათზე, საკუთარ ბინიდან ჩერქეზიშვილის ქ. № 130. **დაკრძალვა** კუკიის სასაფლაოზე.

1—1 № 625.

მიხეილ (მიშა) გახოკია, მატრონა და საშა ნავროზაშვილები აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 10 მარტს, საღამოს გარდაიცვალა პირველისა და მეორესი დედა,ი მესამის სიდედრი

ლირსა გახოკიასი

რომლის გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან (ყოფილი მიხეილის) ვერის სასაფლაოზე მოხდება შაბათს, 14-მარტს, ნაშუადღევის 4-საათზე.

1—1 № 637.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 14 მარტს

დიდი საბალეტო წარმოდგენა

— პრიმა ბალერინის —

მარიამ ლეონოვისა

ნის. № 958—1—1

სახელმწიფო დრამა რუსთაველის თეატრი

დღეს, 14 მარტს

შაიბელმენი

ნ. 957 1—1.

ერთად ერთი საუკეთესო რესტ. მთელ თბილისში

ყოფ. სასულიერო სემინარიის შენობაში, (პუშკინის ქ. № 4. შესავალი „სახახლის სასტუმროს" კარებიდან)

გაიხსნა

საუკეთესო რესტორანი მთელ თბილისში

სადაც ყოველ დღე მზადდება საღი და ნოყიერი საჭმელები როგორც ევროპიული, ისე ქართული, (ღომი ხარჩო საცივი, ჩიხირთმა და სხ.) დახელოვნებულ მზარეულების ხელმძღვანელობით.

სადილები 1 საათიდან საღ. 5 საათამდე.

ვახშამი, ღამის 3 საათამდე.

რესტორანის დარბაზი იტევს 500 კაცამდე

რაიც საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა ამხანაგურ საიდლ-ვახშამის შეკვეთების მიღებისას

დაცულია სისუფთავე გიგიენის უკანასკნელ სიტყვისდამიხედვით რესტორანს აქვს ცალკე კაბინეტები და საპარიკმახერო.

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

პატივისცემით მე-2-რე შრომის კოლექტივი სახ. კვების კავშირისა.

628 1—1

ერთად ერთი საუკეთესო რესტ. მთელ თბილისში

იმერეთის მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „იმერეთი"

ა. | წ. 29 მარტს ქ. ზესტაფონში იწვევს

წევრთა საზოგადო კრებას

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობის მოხსენება წარსულ წლებში თავისი მუშაობის შესახებ.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) 1924 წლის საფინანსო ანგარიშების დამტკიცება.
4) 1924 | 25 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.
5) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლის შესახებ.
7) მიმდინარე კითხვები.

იმერეთის გამგეობა-

627 1—1

„სახელმწიფო სათბობი"-ს რეგისტრაციის შესახებ

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს, რომ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ქვა-ნახშირის მრეწველობის და მინერალურ სათბობით სავაჭრო შენაერთის „სახელმწიფო სათბობის" წესდება დამტკიცებულია საქართველოს ს. ს. რ. უმაღლეს ეკონომიური საბჭოს მიერ 1924 წ. ნოემბრის 10-ს

„სახელმწიფო სათბობის" მმართველათ დანიშნულია ამხ. **ბორკონი**—მიხეილ ლვოვის ძე.

ა. კ. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საქმეთა მმართველი **ეირანოვი.**

946 1—1

პირველ აპრილიდან დაიწყება ბეჭდვა და ივნისის შუა რიცხვებში გამოვა ორ ტომად

კოლა ლომთათიძის

მოთხრობები

სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) რედაქციით

I ტომი:

1. კოლას ბიოგრაფია შედგენილი ს. თავაძის მიერ
2. თეთრი ღამე
3. უსათაურო
4. სახრჩობელას წინაშე
5. საპყრობილეში
6. უბის წიგნიდან
7. პირველი მაისი

II ტომი:

1. აღრევა სულისა
2. სიკვდილი
3. შიში
4. დუმილი
5. მოლალატე
6. გრამაფონი
7. უბედური
8. მამასახლისი თუაძე
9. მღვდლისას
10. მარინე მონაზონი
11. აღსარება
12. კვლავ ფიქრი, ფიქრი
13. წერილი
14. ჩემი დღიური
15. ჰონორარი
16. ივანე გარგანელი
17. გზაში
18. ძე-კაცისა.

(**მეორე ტომშივე მოთავსდება კოლას ჯერ გამოუქვეყნებული დღიური, დაწერილი „პრედვარილკაში"**).

თვითეული ტომი იქნება დაახლოვებით 320 გვ., მოზრდილი ფორმატისა.

ქაღალდის სიძვირის გამო წიგნები გასაყიდათ ძალიან ცოტა გამოვა და არა ხელისმომწერთათვის **გაცილებით მეტიც ეღირება,** ამიტომ ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი კოლას თხზულებათა შეძენის სურვილი აქვს, ორივე ტომის ფასი **4 მან.** გამოგზავნოს მაისის 15-ამდე ერთად ან ნაწილ-ნაწილად. ცნობა—თუ ვის რამდენი წიგნი დასჭირდება უნდა მოგვაწოდონ მარტის დამლევამდე კოლექტიურად ან ნაწილ-ნაწილად, რომ ამ ცნობების მიხედვით დავბეჭდოთ წიგნები.

ამთავითვე ხელისმოწერა მიიღება:—**ტფილისში**—გამომ ცემელთან, წიგნის მაღაზია „**განათლება**"-ში, ლენინის ქ. № 6; **ოზურგეთში**—მოსე თალაკვაძესთან და განათლების განყოფილების წიგნის მაღაზიაში. **ფოთში**—მასწავლებელ **ბათლომე მეგრელიძესთან,** ისაკი სიხარულიძესთან (ნავთსადგურის სახალხო სახლი) და ვასო ქადიეშვილთან; **ჩოხატაურში**—**ლადო ლამბაშიძესთან; სიღნაღში**—ილიკო მჭედლიშვილთან და ალექსანდრე ნაცვლიშვილთან **თელავში**—**ქრისტეფორე რამიშვილთან,** კოტე გეგელიძესთან და იაკობ ცინცაძესთან; **სამტრედიაში—ვალიკო ხარებავასთან; ბათომში—ირაკლი ღლონტთან,** სერგო ყუფარაძესთან და ონიფანტე რამიშვილთან; **ქუთაისში**—თომა მთავრიშვილთან, ალექსანდრე შარაშიძესთან, ემელიან წულაძესთან და ივანე კილაძესთან, **ჭიათურაში**—სავლე თოდრიასთან, **ნაგომარში**—გრიგოლ გუგუნავასთან; **ლანჩხუთში**—მასწავლებელ მიხაკო იმნაძესთან და ლუკა ურუშაძესთან; **სუფსაში**—კვიროსი ჩხაიძესთან; **ხიდისთავში**—ლეონტი კვანჭატირაძესთან, **გორში**—ვარლამ მგალობლიშვილთან; **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაძეველიძესთან წიგნის მაღაზიაში.

ვინც 4 მან. გადაიხდის მაისის 15-მდე, იმათ წიგნებთან ერთად

უფასოდ დაურიგდებათ კოლას გადიდებული

სურათი

ნ. 919 5—4

სილ. თავართქილაძე.

საჭიროა

გამოცდილი კონტრაგენტები ჟურნალ-გაზეთების, წიგნების და სხვა ლიტერატურის გასავრცელებლად შემდეგ ქალაქებსა და პუნქტებში:

1) **ონში**
2) **ვლადიკავკავში**
3) **ცხინვალში**
4) **თიანეთში,**
5) **ცაგერში, (ლეჩხუმი)**
6) **ახალქალაქში (მესხეთი)**
7) **სად. რიონში**
8) **წალვერში**
9) **მანგლისში**
10) **კოჯორში**
11) **აბასთუმანში**

ირობების გაგება ყოველდღე დილის 9—3 საათამდე გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროს. № 24 მეორე სართული).

15—3.

მთავარი კანტორა.

ავლაბარში

ა | წ. 7 მარტიდან გაიხსნა პირველ-დაწყებითი

მუსიკალური სკოლა

(შემახის ქ. № 25). მეცადინეობა საღ. 5—9 საათამდე. სწავლის ფასი თვეში 3—5 მანეთამდე

უკანასკნელი ვადა მიღებისა—21 მარტი

განცხადებათა და სწავლის ფულის მიღება ყოველ დღე 1—3 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე

ქვ. 641—1—1

თბილისის ქალაქის ლომბარდი

(ლორის მელიქოვის ქ. № 8)

ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 მარტს, დილის 11 ს. დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის კარებზე.

1—1

სავალდებულო დადგენილება № 13

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

„10" თებერვალი 1925 წელი ქ. თბილისი.

სახლების მეპატრონეების მიერ თავიანთ სახლებში კანალიზაციის ყვანაზე.

ქალაქ თბილისში საკანალიზაციო ქსელის გაფართოების და სანი რული პირობების გაუმჯობესების მიზნით თბილისის აღმასრულებელი მიტეტის პრეზიდიუმი **ადგენს:**

§ 1. სახლების მეპატრონენი, რომელთა სახლების წინ გადის მა ტრალის საკანალიზაციო მილი, ვალდებულნი არიან გაიყვანონ სახლ საკანალიზაციო შტო და შეუერთონ ასეთი საკანალიზაციო მილს.

§ 2. პირველ პარაგრაფში აღნიშნულის შესრულებაზე ეძლევათ ერთ თვის ვადა დღეიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა.

§ 3. მილების გაყვანა შეადგენს ვალდებულებას კეთილ-მომწყ განყოფილების სანიტარულ-ტეხნიკური სექციისას, რომელსაც ედება ს ლი პასუხისმგებლობა აღნიშნული მუშაობის კეთილ-სინდისიერად შეს ლებაში.

§ 4. კეთილ-მომწყობ განყოფილებას ევალება მილების გაყვანა აწ მოოს სახლების მეპატრონეებისთვის შეღავათიან პირობებში, შეძლე ბისამებრ, მათთვის საფასურის განაწილვადებით.

§ 5. ერთი თვის შემდეგ დღეიდან ამ დადგენილების გამოც სახლები, რომლების წინ გადის კანალიზაცია, მექანიკურად სწვეტენ მუნალური მეურნეობის სასანიზაციო ქარავანით სარგებლობას.

§ 6. უბნის სანიტარულ ექიმებს ევალებათ თვალყურის დევნება დადგენილების შესრულებაზე სახლების მეპატრონეების მიერ.

§ 7. დამრღვევენი ამა სავალდებულო დადგენილებისა დაისჯებიან მანეთამდე დაჯარიმებით ან და (ორი) 2 თვის დაპატიმრებით.

თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. **სუხიშვილი.**

მდივანი **ცქიტიშვილი.**

ნ. 955 1—

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდ ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—8.

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყო ფობანი. იღებს ავადმყოფ საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—1

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—22

ე. მ. მძინარიშვილ

სიფილისი, ვენერიული კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. 6—8 ს. საღამოთი; ქალების და შვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № შესავალი კრუზენშტერნის ქუჩი

25—7

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—10

მედიცინის დოქტორ

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვ სისტემის ავადმყოფობა ელექტრ სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. სა მოს 5—7 საათამდე. გარდა კვი

ექიმი

ა. დ. კეკელი

სიფილისი, ვენერიული და კა ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. სა ღამოს 5—8. პლეხანოვის პრო სპექტი № 116, სასტუმრო „ნო პირდაპირ. № 3203. 25—

ექიმი

ალექსანდრე კორკი

მეანობა და ქალთა სნეულებან მიღ. ავადმყ. 4—6 ს. სა პლეხანოვის პრ. № 64

დაკარგა სახლის წიგნაკი მული გრიგოლ ძ ძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაკარგა საალრიცხვო ბარათ პირადობის მოწმობა 883 მიხეილ საბას ძე კირვალიძის სახელზ ჩაითვალოს გაუქმებულად. 636 1-1

დაკარგა პირადობის მოწ № 679, ბაქოს მილიციის მთავარ სამმართველოს მიერ ცემული ბიქტორ ვასილის ძე ბოჯ მისი ცოლშვილის სახელზე. ჩაითვალ უქმებულად. 635 1-1

დაკარგა პირადობის წიგნ 323 მოცემული თბ სის მ | გ. მილიციის მთავარ სამმართვე მიერ ალექსანდრე ელიზბარის ძე და მისი ცოლშვილის სახელზე. ჩაით გაუქმებულად. 634 1-1

დაკარგა სახლის საბინაო წიგნ (მოცემული 1924 წ აფანასის ქუჩაზე, 11 უბნის, ელისო სის სახელზე № 33, ჩაითვალოს გაუ ლად. 633 1-1

დაკარგა პირადობის და მოწმობა და სამ საალრიცხო ბარათი № 154, მანუ ზას ძე ვართანოვის სახელზე. ჩაით გაუქმებულად. 631 1-1

დაკარგა პასპორტი შალიკო ხაზეილის სახელზე. თვალოს გაუქმებულად. 630 1-1

დაკარგა პასპორტი დაგით კაშვილის სახელზე. თვალოს გაუქმებულად. 629 1-1

დაკარგა ლომბარდის ქვითა № 149,49 გ. აბშილ სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 638 1-1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს ანგარიშების მდგომარეობა

1925 წლის 1 იანვრისათვის.

აქტივი.

ანგარიშების სახელწოდება	გამგეობა	განყოფილებანი	ს უ ლ
მოძრავი ქონება	1.935—86	803—91	2.739—77
ფულადი საშუალებანი			
კასა	1.210—30	1.895—28	3.105—58
მიმდინარე ანგარიშები	350—58	49—70	400—28
სახელმწიფო და საზოგადოებრივი სესხები		175—00	175—00
სხვადასხვა დაწესებულებათა აქციები და პაიები	2.970—00	500—00	3.470—00
მატერიალური ღირებულებანი			
საქონელი საწყობში	116.691—91	71.381—60	188.073—51
„ მაღაზიაში	40.306—13	37.187—94	77.494—07
„ საკომისიო	56.466 23		56.466—23
„ გზაში	85.971—88		85.971—88
დამზადებული ნედლეული		10.745—51	10.745—51
დებიტორები			
თამასუქებში პორტფელში	99.154—23	16.122—49	115.276—72
„ აღრიცხვაში	35.115—13	25.150—76	60.265—89
„ ინკასო	1.488—11		1.488—11
„ პროტესტქმნილი	2.140—00	1.794—00	3.934—00
მყიდველები და სხვ. დებიტორები	426.712—46	66.921—06	493.633—52
ავანსი მუშებს და მოსამსახურეებს	1.283—25		1.283—25
ანგარიშვალდებული პირები	7.641—89	640—45	8.282—34
განყოფილებანი	60.416—64		60.416—64
გარდამავალი თანხები	23.476—70		23.476—70
მუშები და მოსამსახურეები	999—99	1.206—53	2.206—52
ხარჯები			
სავაჭრო ხარჯები	16.515—19	8.198—16	24.713—35
გაყიდულ საქონლის თვითღირებულება	282.400—68	198.086—84	480.487—52
	1.263.247—16	440.859—23	1.704.106—39

პასივი.

ანგარიშების სახელწოდება	გამგეობა	განყოფილებანი	ს უ ლ
საკუთარი კაპიტალი			
ძირითადი კაპიტალი	1.935—86		1.935—86
საამორტიზაციო კაპიტალი	7.043—50		7.043—50
საბრუნავი კაპიტალი	155.512—39	33.941—06	189.453—45
კრედიტორები			
სესხები	20.000—00		20.000—00
გაცემული თამასუქები	266.847—58	15.088—89	281.936—47
დავალიანება აღრიც. თამასუქ.	35.115—13	25.150—76	60.265—89
მომწოდებლები და სხვ. კრედიტ.	400.596—14	95.123—69	495.719—83
კომიტენტები	56.466—23		56.466—23
მუშები და მოსამსახურეები	9—31		9—31
შემოსავალი			
საქონლის (ბრ.) გაყიდვა	317.451—03	208.967—59	526.418—62
სხვადასხვა შემოსავალი	2.269—99	1.869—07	4.139—06
გამგეობა		60.718—17	60.718—17
	1.263.247—16	440.859—23	1.704.106—39

ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს გამგე **აქობომი.**

სავაჭრო განყ. გამგე **ბოჭკოშვი.**

მთავარი ბუხჰალტერი **მელიქიშვილი.**

ნ. 947 1—1

ტირაჟი—20.498

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4